საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვუნი სიტყვაა, ცუნილებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 28-29 ივნისი. 2021 წ. №141-142 (9260-9261) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მარად შავი, სახედაკარგული სააკაშვილიდან ტაკიმასხარა ხაბეიშვილამდე!..

თუ ბრმა, ყრუ და ბოროტი არა ხარ, დასანახი უნდა დაინახო...

გაბორგებული ოპოზიციისთვის საქართველო თურმე ახლა უბედური ქვეყანაა და თავად ეპირებიან ქვეყნის გაბედნიერებას, ანუ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ. აი ეს არის მარად შავი, მავნე ოპოზიციის გაუმაძღარი მუცლის გვრემა.

სამშობლოს ბედით გულდამწვარო მკითხველო, ბევრი თქვენგანი უთუოდ ყურადღებით უსმენდა ჩვენს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ერთი წლის ანგარიშს აბარებდა ჩვენს დღევანდელ ჭრელ პარლამენტს. აბარებდა და ღირსეულად ჩააბარა კიდეც, თანაც უახლოესი ათწლიანი გეგმაც დასახა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მან ამომწურავად ნათელი გახადა ქვეყნის აწმყოცა და ხვალინდელი დღეც, მაინცდამაინც სასიამოვნო არ გამხდარა გულში ღვარძლდაგროვილი ოპოზიციისთვის, რომელსაც საერთოდ რიყეზე ქვის არდანახვა ჩვეულებად ექცა. ასეა, გაბორგებული მტერი, როცა ძალით ვერაფერს ხდება, თვალსაც იბრმავებს და ყურსაც იყრუებს, და ისღა დარჩენია, რომ გესლმოწოლილი გველის ნესტარივით ასავსავოს შხამიანი ენა. ასეა უკვე მთელი ცხრა წელიწადია – გაბითურებული, სახედაკარგული, პოლიტიკურად ჩასვრილი მიხეილ სააკაშვილიდან მოყოლებული პოლიტიკურად ტაკიმასხარად ქცეულ ვინმე ლევან ხაბეიშვილამდე, რომელიც უკვე კარგა გვარიანად გაშიფრულია ხალხის თვალში როგორც ცილისმწამებელი არამზადა.

გონიერო მკითხველო, დღეს ჩვენი გაზეთი პრემიერ-მინისტრის ანგარიშის მცირედ შემოკლებულ ვარიანტს აქვეყნებს, რაც საშუალებას გაძლევს ახლა უკვე თვალიც გადაავლო (წაკითხული მაინც სხვაა!), კიდევ ერთხელ დარწმუნდე, თუ რაოდენ სიღრმისეულად არის დანახული ქვეყნის აწმყოც და მომავალიც, და ერთხელ კიდევ დარწმუნდე, თუ რაოდენ მტრულად იქცევა ძველებურად დაბრმავებულ-დაყრუებული; აშკარად ქვეყნის დამანგრეველი, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ოპოზიცია, რომელიც ყოველივე სისაძაგლისა და უკეთურების გზას ადგას.

ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო ისეთ ქვეყნად უნდა ვაქციოთ, რომლისკენაც საუკუნეების განმავლობაში ისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები!..

25 ივნისს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში ანგარიში და ქვეყნის განვითარების ათწლიანი გეგმა წარადგინა.

მოგესალმებით, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, პატივცემულო დეპუტატებო, პატივცემულო სტუმრებო.

ბოლო ერთი წელი ჩვენი ქვეყნისთვის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებული გამოწვევებისა და სირთულეების წელი იყო. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, გლობალურმა პანდემიამ შეიწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. გარდა ჰუმანიტარული კრიზისისა, პანდემიამ გამოიწვია უპრეცედენტო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რაც ჩვენი თითოეული თანამოქალაქის კეთილდღეობაზეც მძიმედ აისახა.

ჩვენი საზოგადოებისთვის უმწვავეს რეალურ პრობლემებს ბოლო თვეების განმავლობაში დაემატა ხელოვნურად შექმნილი ე.წ. პოლიტიკური კრიზისიც.

მე სწორედ ამ რთულ პირობებში, სამიოდე თვის წინ დამეკისრა ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა.

საანგარიშო პერიოდის ვრცელი მიმოხილვა ცოტა ხნის წინ გამოგიგზავნეთ. კიდევ ერთხელ, მოკლედ შევაჯამოთ მთავრობის საქმიანობა ამ პერიოდში.

პრემიერ-მინისტრის ანგარიში პარლამენტს იხ. 2,4,6 გვ.

ბატონო პრემიერო, ქართველ ხალხს სჯერა, რომ თქვენს ყოველ სიტყვას საქმედ აქცევთ!

მელია ქართველების თვალში ისეთივე ფიგურაა, როგორიც კალაძე? – ეს ხომ აბსურდია?!

3

იქ – ავლანეთში... როცა სიკვდილზე იმარჯვებ

8

ვატიკანის სასაფლაოები ქართველი მკვლევარებისთვის ღიაა...

12

სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის 38 400 აბიტურიენტი იბრძოლებს!..

5

პრემიერ-მინისტრის ანგარიში პარლამენტს

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველო ისეთ ქვეყნად უნდა ვაქციოთ, რომლისკენაც საუკუნეების განმავლობაში ისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები!..

(პირველი გვერდიდან) პანდემიის გამო შარშან ჩვენი ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა. თუმცა, ჩვენ არც ერთი წუთით არ შეგვიწყვეტია ინფრასტრუქტურული პროექტები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ გაჩერებულა წარმოების მნიშვნელოვანი დარგები. სახელმწიფომ, სხვადასხვა პირდაპირი დახმარებისა თუ შეღავათების სახით, მაქსიმალური დახმარება გაუწია მეწარმეებსა და დასაქმებულ ადამიანებს.

დროის მოკლე პერიოდში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოვიზიდეთ ორი მილიარდ ასი მილიონი აშშ დოლარის დაფინანსება. ამან შესაძლებელი გახადა პანდემიის საპასუხო ღონისძიებების სრული დაფინანსება და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება.

ევიმუშავეთ ჯანდაცვის, სოციალური და ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებების მძლავრი პაკეტი.

ჯანდაცვის ხარჯებმა შეადგინა 900 მილიონი;

ბიზნესის მხარდაჭერამ – 3,0 მილიარდი ლარი;

მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებებმა – მილიარდ სამასი მილიონი ლარი.

წელს პანდემიის გავლენის შემცირებასთან ერთად ეკონომიკის გაჯანსაღების წელია. შეგახსენებთ, რომ აპრილში ექსპორტის 70 პროცენტიანი ზრდა პანდემიამდე მონაცემსაც აღემატება და ნათლად მიანიშნებს გაუმჯობესების ტენდენციაზე.

ვითარდება სატრანზიტო და ლოჯისტიკური პოტენციალი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. გრძელდება საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაცია და საქართველოს რეგიონალურ ჰაბად ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 600 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია, გაიხსნა მაგისტრალური გზის 70-მდე კმ. ასევე გეტყვით, რომ ამ სამუშაოებმა თბილისი-ბათუმის გზა 1 საათით უკვე შეამცირა.

აქტიურ ფაზაშია ფოთის საზღვაო ტერმინალის მშენებლობა, პრიორიტეტად რჩება ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური.

დასრულებულია ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის სამშენებლო სამუშაოების დაახლოებით 82 %. საპილოტე რეჟიმში უკვე ხორციელდება გადაზიდვები.

შეგახსენებთ, ჩვენ დავიწყეთ რეგულარული საჰაერო მიმოსვლის აღდგენა. დასრულდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალი.

ეკონომიკური სტაბილურობისა და სიძლიერისთვის აუცილებელია რეგიონების განვითარება და ადგილებზე ახალი სამუშაოების შექმნა. ყველა დიდი თუ მცირე პროექტი სწორედ რეგიონების გაძლიერებას, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას ემსახურება. სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონების“ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია.

აქტიურად მიმდინარეობს რეგიონების გაზიფიცირება და წყალმომარაგება.

გეგმაზომიერად ვახორციელებთ სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების პოლიტიკას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შარშან და წელს ჯამში 8300-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი შეირჩა დასაფინანსებლად.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით გაიზარდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგებიც. მაგალითისთვის – აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტმა 942 მლნ დოლარს გადააჭარბა, რაც 84.5%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებლებს.

ეტაპობრივად ვნერგავთ ევროპულ სტანდარტებს გარემოსდაცვით სფეროშიც.

ახალი ტყის კოდექსი უზრუნველყოფს ხეტყის დამზადების სამუშაოების ორგანიზებულ მართვას და ტყეების დაცვას.

ბოლო წლებში რეკორდულად, 280 ათასი ჰექტარით გაიზარდა დაცული ტერიტორიების ფართობი და დღეს ის ჩვენი ქვეყნის 12%-ს ფარავს.

საგარეო პოლიტიკის მხრივ ჩვენი უმთავრესი მიზანია საქართველოს ევროკავშირში და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია.

შეგახსენებთ, 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს გავაკეთებთ ოფიციალურად. ღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირთან როგორც უმაღლეს პოლიტიკურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე.

უმაღლეს დონეზეა ურთიერთობები ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყანასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საქართველოსადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერის დადასტურებაა კონგრესის მიერ 2020 წლის ბოლოს დამტკიცებული საკანონდებლო აქტები. ასევე წელს, თებერვალში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე კონგრესმენთა მიერ ხელახლა ინიციირებულია „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, გაზრდილია დაფინანსება.

ჩვენ ეფექტიანად ვიყენებთ ყველა ინსტრუმენტს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის.

მე უკვე განვაცხადე, რომ საქართველო დღეს უკვე ყველა პარამეტრით არის მზად, გახდეს ნატოს წევრი.

ავღანეთში ნატოს მისიებში ჩვენმა სამხედროებმა მსოფლიოს აჩვენეს, თუ რა შეუძლია ჩვენს ქვეყანას. მე მინდა მადლობა გადავუხადო კიდევ ერთხელ ჩვენს გმირ სამხედროებს, რომლებიც მისიას ასრულებენ ღირსეულად და სამშობლოში ბრუნდებიან.

საერთაშორისო დონეზე სულ უფრო ძლიერდება მხარდაჭერა ოკუპაციის წინააღმდეგ და არაღიარების პოლიტიკა, ძალიან ეფექტიანად ვმუშაობთ. ვმუშაობთ, რომ დაისაჯონ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფაში დამნაშავეები, გათავისუფლდნენ უკანონოდ დაკავებულები, მათ შორის, ზაზა გახელაძე და ირაკლი ბებუა.

ჩვენი ძალისხმევის თვალსაჩინო დასტურია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“. ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევებისათვის რუსეთს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ პასუხისმგებლობა დაეკისრა.

ამასთან, ვაგრძელებთ აფხაზ და ოს ძმებთან ნდობის აღდგენის აქტიურ, შედეგზე ორიენტირებულ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკას; მათ შორის, გამყოფი ხაზების გასწვრივ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის წახალისებას სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში.

ასევე მინდა გითხრათ, ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობა ჩვენი მოქალაქეები არიან და მათზე ზრუნვა ჩვენი პასუხისმგებლობაა.

გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები მოქალაქეებისათვის ხორციელდება ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო პროგრამები.

* * *

ომმა მთიან ყარაბაღში მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დააყენა მთელი რეგიონი. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნისთვის არსებითია სამეზობლოში მშვიდობა და სტაბილურობა. ჩვენ ვაგრძელებთ დაბალანსებულ და, ამავდროულად, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პოლიტიკას.

ჩვენი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი წარმატებაა სულ ახლახან ჩემი შუამავლობით და ამერიკის თანადგომით – სომხეთ-აზერბაიჯანის შეთანხმება. ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენს განსაკუთრებულ როლს რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ორივე ქვეყნის ლიდერს, პრეზიდენტ ალიევს და პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს. აქვე ვაცხადებ მზადყოფნას, რომ გავაგრძელოთ ეს პროცესი საერთო მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად.

ინტენსიურად წარვმართავთ დიალოგს თურქეთთან ეკონომიკის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის წარმატების დასტურია ის, რომ იზრდება საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ როგორც ქვეყნის განვითარებაში, ისე საქართველოს საერთაშორისო პოპულარიზაციაში. ჩვენი პრიორიტეტია საზღვარგარეთ ჩვენი მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამასთან, მიუხედავად პანდემიისა, აქტიურად ვახორციელებთ დიასპორაში შემოქმედებითი ჯგუფებისა თუ ახალგაზრდობის მხარდაჭერას, ქართული ენის სწავლებას, კულტურის კერებისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დასრულდა ლევილის მამულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პირველი ფაზა.

გრძელდება რეფორმები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და ტოტალური თავდაცვის განსამტკიცებლად. ნატოსთან თავსებადობის გაზრდის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების და სამხედრო მოსამსახურეების დაფასების მიზნით გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

აქტიურად ხორციელდება ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტი. აშშ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ ისტორიული მნიშვნელობის პროგრამას – GDRP-ს. გამოიცა თავდაცვის ძალების სამოქმედო გეგმა 2020-2030, რომელიც განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს: ჯავშანსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის, საარტილერიო, დაზვერვის და საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება.

შევიძინეთ და ახლო მომავალში დამატებით შევისყიდით თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს „ჯაველინებს“.

უმოკლეს ვადებში ქართული სამხედრო ავიაციის, პრაქტიკულად, ნულიდან აღდგენა შევძელით. წარმატებით მიმდინარეობს ჰაერსაწინააღმდეგო მიმართულების განვითარება, ნატოს სტანდარტების M4-ის ტიპის შაშხანებით და თანამედროვე ტყვიამფრქვევებით, ყუმბარმტყორცნებით და სხვა საშუალებებით ჯარის აღჭურვა.

დავიწყეთ ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარება. პირველად ჩვენი ჯარის ისტორიაში თავდაცვის ძალებს გადაეცა საქართველოში წარმოებული 40-მდე ჯავშანმანქანა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

შეიარაღების ეფექტიანად წარმოებისთვის აქტიურად ვიყენებთ ჩვენს საწარმო დელტას, რომ ერთობლივი საწარმოების ფარგლებში მივიღოთ სტრატეგიით გათვალისწინებული პროდუქცია.

ცენტრ „დელტას“ ბაზაზე აქტიურად იქმნება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციაც. უკვე ფუნქციონირებს დელტა-ტექსტილი. ამჟამად ვმუშაობთ საბჭოთა მოძველებული ტექნიკის სრულად ჩანაცვლებაზე, განახლებაზე. 500 ერთეული თანამედროვე ბრენდების სპეცტექნიკა უკვე შეძენილია და თავდაცვის ძალების ინფრასტრუქტურა უახლოეს მომავალში სრულად გაუთანაბრდება ნატოს სტანდარტებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიციელებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავენ ჩვენი თანამოქალაქეების უსაფრთხოებას. გაიზარდა და კვლავაც გაიზრდება პოლიციელთა შრომითი ანაზღაურება. ჩვენ კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მათი თავდადებული შრომა კიდევ უფრო დაფასდეს.

ვმუშაობთ ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ, უმაღლესი სტანდარტების ეროვნულ სტრატეგიაზე, რომლის მიზანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ინკლუზიურობისა და თანასწორობის პოლიტიკის, გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შემცირება, ბავშვთა უფლებების დაცვა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩვენი პრიორიტეტია.

დღეს ჩვენი ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტია პანდემიის მართვა. დავაჩქარეთ სახელმწიფო სტაციონარული დაწესებულებების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა. სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის არსებითია სახელმწიფოს ჰქონდეს სამედიცინო მომსახურების მიწოდების საკუთარი რესურსი.

ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 57 ახალი ადმინისტრაციული შენობა აშენდა, 5-ის მშენებლობა კი მიმდინარეობს.

დღეს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის COVID-19-ის მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა სამედიცინო მომსახურება უფასოა.

პანდემიასთან ბრძოლაში ჩართული სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება გაიზარდა 50%-ით, გაიზარდა სასწრაფო დახმარების პერსონალისა და სოფლის ექიმების ხელფასიც. ტუბერკულოზის მართვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალის ხელფასი გაიზარდა 30%-ით.

იხ. 4 გვ.

ოპოზიცია და ოპოზიციური ტელევიზიები ბოლომდე ყალბნი, ცრუნი, ტაკი-მასხარები არიან!



მელია ქართველების თვალში ისეთივე ფიგურაა, როგორიც კალაძე? – ეს ხომ აბსურდია?!

მოსახლეობის 57% **გიორგი გახარიას** მიმართ დადებითად არის განწყობილი, გამოკითხულთა 50% თბილისის მერის, **კახა კალაძის** მიმართ; ხოლო 47%-ს პოზიტიური განწყობა **ნიკა მელიას** მიმართ აქვს – ასეთია „ედისონ რისერჩი“-ს გამოკითხულთა შედეგები, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩაატარა. კვლევის ფარგლებში, პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 1500 საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის ადამიანი. მათ შორის, 800 თბილისში, 700 დედაქალაქს გარეთ. კვლევა 7-19 ივნისის პერიოდში ჩატარდა.

კვლევის ამ ნაწილის თანახმად „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის **გიორგი ვაშაძის** მიმართ დადებითი განწყობა გამოკითხულთა 43%-ს აქვს; „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარის, **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ 38% არის პოზიტიურად განწყობილი. პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილი** – 38%. პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი **ანა დოლიძე** – 38%. ყოფილი პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი** – 36%; „დროას“ ლიდერი **ელენე ხოშტარია** – 34%.

რაც შეეხება დანარჩენ პირებს: შალვა ნათელაშვილის მიმართ 34%; ხატია დეკანოიძე 33%; არჩილ თალაკვაძე 33%; ანა ნაცვლიშვილი 33%; ალეკო ელისაშვილი 33%; საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 30%; ირაკლი კობახიძე 29%; მამუკა ხაზარაძე 27%; სალომე სამადაშვილი და ბადრი ჯაფარიძე 26%; ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს 26%; ნინო ბურჯანაძე 24%; ირმა ინაშვილი 24%; კახა კუჭავა 22%; საბა ბუაძე 19%; გიგა ბოკერია 18%.

კითხვაზე, ვის მისცემდნენ ხმას, თბილისის მერის არჩევნები რომ ხვალ ტარდებოდეს და არჩევანი შემდეგ კანდიდატებს შორის იყოს გასაკეთებელი, მოსახლეობის მხარდაჭერა ასე ნაწილდება: გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი 34%; „ქართული ოცნების“ კანდიდატი – 30%; პარტია „საქართველოსთვის“ კანდიდატი 13%.

კვლევის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, გამოკითხულთა 32% „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას, 24% „ნაციონალურ მოძრაობას“, 13% გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“ გიორგი ვაშაძე „სტრატეგია აღმაშენებელი“ 4%; „ლელო“ 4%; შალვა ნათელაშვილი 3%; „პატრიოტთა ალიანსი“ 3%; ლევან ვასაძე 3%; ზურაბ ჯაფარიძე 2%; გირჩი – 2%; ანა დოლიძე 2%; ალექსანდრე ელისაშვილი 2%; გიგა ბოკერია 1%; ელენე ხოშტარია 1%; ირაკლი ოქრუაშვილი 1%; ნინო ბურჯანაძე 1%; ეკა ბესელია 1%; თავისუფალი საქართველო 1%; დავით ჭიჭინაძე 1%; ზვიად ძიძიგური 1%.

ალოკაციის გარეშე კი ხმები შემდეგნაირად ნაწილდება: „ქართული ოცნება“ 25%; „ნაციონალური მოძრაობა“ 19%; გიორგი გახარია „საქართველოსთვის“ 10%; გიორგი ვაშაძე 3%; ლელო 3%; შალვა ნათელაშვილი 3%; „პატრიოტთა ალიანსი“ 2%; ლევან ვასაძე 2%; ზურაბ ჯაფარიძე 2%; გირჩი 2%; ირაკლი ოქრუაშვილი 1%; ელენე ხოშტარია 1%; ალექსანდრე ელისაშვილი 1%; ნინო ბურჯანაძე 1%; ანა დოლიძე 1%; გიგა ბოკერია 1%; ეკა ბესელია 1%; თავისუფალი საქართველო 1%; დავით ჭიჭინაძე 1%; ზვიად ძიძიგური 1%.

„Edison Research“-ის კვლევის შედეგებს, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩაატარა, არ ენდობა მმართველი გუნდი. „ქართული ოცნების“ წევრის, დეპუტატის **შალვა პაპუაშვილის** თქმით, მთავარი არჩევნებია და არჩევნების შედეგები.

„რაც შეეხება „იფსოსის“ და „ედისონ რისერჩის“ კვლევებს, უკვე ჩანს, რომ „მთავარმა არხმა“ და „ფორმულამ“ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს, ასე რომ, ეს არის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი. ჩვენ ამას ვხედავდით წინა არჩევნების დროსაც, მე მგონი, ამაზე უარეს შედეგებს წინასწარმეტყველებდა მაშინ „მთავარი არხიც“ და „ფორმულაც“. ეს არის ამ ორი ტელეკომპანიის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი და ერთ-ერთი ინსტრუმენტი. მთავარი არის არჩევნები, არჩევნებზე ვნახავთ ყველაფერს“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

გიორგი ვაშაძის შეფასებით, „ედისონ რისერჩი“ უჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვლება და „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ დააგროვებს. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი კახა კალაძეს ძალიან დაბალ შანსს უწინასწარმეტყველებს, რომ მერობა შეინარჩუნოს.

ხატია დეკანოიძე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ ვერც კი უახლოვდება 40%-იან ზღვარს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ამბობს, თუ ოპოზიცია მოიქცევა ჭკვიანურად, „ოცნებას“ თვითმმართველობის არჩევნებზე არავითარი შანსი არ ექნება და იძულებული გახდება დანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

რაც შეეხება გიორგი გახარიას, ოპოზიციურ ველზე ვერ შემოვა. **ყველა წარმეული ხმა არის „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი. მე ძალიან შორს ვარ იმისგან, რომ გახარია და მისი გუნდი ოპოზიციას წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ ეს ფრთა უზრუნველყოფს იმასაც, რომ „ქართული ოცნებიდან“ ხმები წაიღოს“,** – აცხადებს **ხატია დეკანოიძე.**

„ედისონ რისერჩი“-ის გამოკითხულთა შედეგებს, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩატარდა, არ ენდობიან ანალიტიკოსები

რამაზ საყვარელიძის შეფასებით, კვლევაში არის ძალიან ბევრი არალოგიკური შედეგი. მისი თქმით, ადამიანი, რომელიც ხშირად არის ხალხის ყურადღების ცენტრში, ასეთი ადამიანის რეიტინგი მაღლა იწევს. მაგრამ ადამიანი, რომელიც საერთოდ არ ჩანს და არ გამოჩენილა, იმის რეიტინგი რომ აგრძელებს არსებობას, საყვარელიძეს შეფასებით, ეს არის საეჭვო.

„თქვენ ახსენეთ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი. ამ პარტიამ 6 თვე ქუჩისკენ წაიღო მთელი პოლიტიკური პროცესები. რატომ, რა მიზანი ჰქონდა და რას მიაღწია, ეს ვერავინ ვერ გაიგო, ისე შევიდა პარლამენტში. ამიტომ, ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ მისი მხარდამჭერების რიცხვი საგრძნობლად შემცირებული არ იქნება. ეს კვლევა კი ამბობს, რომ მათი მხარდამჭერების რიცხვი საგრძნობლად შემცირებული არ არის. ყველამ ვიცით, ვინ რამდენად იყო აქტიური, რითი იყო აქტიური, გონიერებით დაამახსოვრა ხალხს თავი, თუ უგენურობით – შეადარეთ შედეგებს და მე, მგონია, რომ ყველაფერი ცხადი იქნება“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

პოლიტოლოგის განცხადებით, კვლევაში რამდენიმე ისეთი ფრაგმენტია ჩადებული, რომელიც შეიძლება პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, ამავე დროს არც იმას გამორიცხავს, რომ ეს არის უბრალოდ არაკვალიფიცირებულად გაკეთებული კვლევა.

„პრინციპში, გარდა აქტიურობისა, მელიას საქციელი ავიღოთ – ანგრევს თუ აშენებს? – რა თქმა უნდა, ანგრევს და ამით, ქებას იმსახურებს თუ კრიტიკას? – რა თქმა უნდა, კრიტიკას. მთელი მსოფლიო იძახის, რომ ეს 6-თვიანი გაუგებრობა და კონკრეტულად მელიას საქციელი უნდა იყოს კრიტიკის საგანი. ამ დროს მელია ქართველების თვალში ისეთივე ფიგურაა, როგორც კალაძე? – ეს ხომ აბსურდია.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ კვლევაში ჩადებულია პოლიტიკური მიკერძოება, რომელიც ძალიან ფრაგმენტულ ნაწილს ისახავს, მაგალითად ის, რომ ადამიანებს ცნობიერებაში ჩაუსვან, თითქოს „ქართული ოცნება“ ვერ აიღებს დაპირებულ პროცენტებს, რომ აი, ნაციონალების ლიდერი ასეთი პოპულარულია. რამდენიმე ფრაგმენტია ისეთი, რომელიც რაღაცა პოლიტიკურ მიზანს შეიძლება ემსახურება და შეიძლება არც პოლიტიკურ მიზანს არ ემსახურება და უბრალოდ, არაკვალიფიცირებულად გაკეთებული კვლევა არის“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, ცხადია, რომ ეს არის პოლიტიკური კვლევა. ერთგვარი სიგნალია, როდესაც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ოპოზიციური ტელეარხების მიერ დაკვეთილი სოციოლოგიური კვლევები შემოვარდება და აქედან იწყება საარჩევნო მიზნების გაცხადება, რაც ამ ოპოზიციას აქვს.

„ახლა რაც გამოაქვეყნეს, ეს არის სწორედ როგორც კობახიძემ თქვა – „ოპოზიციის სიზმრები“. ბუნებრივია, ეს არის ოპოზიციის სურვილები, რომელსაც რეალობასთან კავშირი არ აქვს. წინა საპარლამენტო არჩევნების დროსაც დაახლოებით ეს სურათი იყო, რაც დღეს დახატეს, მაგრამ შედეგები კი ვიცით როგორიც იყო. როგორც ჩანს, ემზადებიან იმისთვის, რომ არჩევნების მერე თქვან, რომ არჩევნები გაყალბდა. უკვე ამზადებენ საზოგადოებას, რომ აი, კვლევების მიხედვით მათ აქვთ უპირატესობა, ამ არჩევნებში, რაც ელემენტარული ტყუილია“, – ამბობს **დავით ზარდიაშვილი.**

რაც შეეხება კალაძის 50%-ს და მელიას 47%-ს, ზარდიაშვილის შეფასებით, არარეალური ციფრებია, რომელიც დაწერილია კონკრეტულ კაბინეტში.

„როგორ შეიძლება ისეთი ციფრების ნდობა, რომელიც კაბინეტში იწერება და საერთო არ აქვს რეალურ სოციოლოგიურ კვლევასთან. ჯერ ერთი, ეს კვლევები არის ძალიან ზერელე, რაც სოციოლოგიის პრობლემაა. ჩვენი საზოგადოება ხომ არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერესები აქვთ. სხვა არის მდიდრების ინტერესები, ასევე დაქირავებულთა ინტერესები, სხვა არის სოციალურად გაჭირვებულთა ინტერესები და ა.შ. ჯამური პროცენტები რომ გამოდის და დეტალიზაცია აკლია, იმთავითვე ჩნდება კითხვის ნიშნები“.

თამთა ქარჩავა

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან 7 წელი გავიდა

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შესახებ შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს. ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ ახალ ეტაპზე გადაიყვანა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და დასაბამი დაუდო საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს.



საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის გაიხსნა 500-მილიონიანი ევროკავშირის ბაზარი, გაიზარდა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, გაიზარდა საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

2016 წლის 1-ელ ივლისს კი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმება, მისი 431-ე მუხლის თანახმად, ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც 23 მაისს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რატიფიკაციის პროცედურების დასრულების თაობაზე.

რატიფიკაციის პროცესი ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში გაგრძელდა და მასში მონაწილეობდნენ ევროპარლამენტი, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოები. შეთანხმების უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში რატიფიკაცია ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროპული გზის მტკიცე მხარდაჭერას.

(მეორე გვერდიდან)

ყოველწლიურად იზრდება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის წლიურად ასანაზღაურებელი თანხა გაიზარდა 8 000 ლარით. კერძოდ, საბაზისო, მიზნობრივი და ვეტერანის პაკეტით მოსარგებლეებს შესაძლებლობა აქვთ 12 000-ის ნაცვლად 20 000 ლარის ღირებულების სამედიცინო სერვისი მიიღონ. ასაკობრივი პაკეტის მოსარგებლეებისთვის პროგრამით განსაზღვრული თანხა 15 000-დან 23 000 ლარამდე გაიზარდა.

საქართველო ინარჩუნებს პროგრესს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და C ვირუსული ჰეპატიტის პრევენციასა და მკურნალობაში. უწყვეტად ხორციელდება სოციალური პროგრამები და სერვისები სიღარიბისა და სოციალური რისკების შესამცირებლად.

პირველი ივლისიდან სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება გავაორმაგეთ და თითოეულ ბავშვზე 100 ლარი დავაწესეთ. ასევე იზრდება მოცვა – 100000 ქულის ნაცვლად 120000 ქულის მქონე ბავშვიანი ოჯახები მიიღებენ დახმარებას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის ახალი ინდექსაციის წესით პენსიონერები პირველი იანვრიდან გაზრდილ პენსიას იღებენ. დღეს სახელმწიფო პენსია 240 ლარია. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, უნდა გაიზარდოს და გავზრდით ჩვენ მომდევნო წლების განმავლობაში. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერები იღებენ 20%-იან დანამატს. შესაბამისად, სახელმწიფო პენსია მთაში 288 ლარი, ხოლო 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერთათვის 330 ლარია. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, ყველას გვესმის, რომ არ არის საკმარისი, მაგრამ რაც ჩვენ გავაკეთეთ, არის ძალიან კარგი და აუცილებელი – ინდექსაცია, რომელიც პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში.

* * *

განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარე რეფორმის მიზანია სისტემური განვითარება. განათლებისა და მეცნიერების გრძელვადიანი პერსპექტივა აისახება ათწლიანი განვითარების გეგმაში, რომელზეც აქტიურად მუშაობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2021 წელს პირველად ჩატარდა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. პარალელურად, შემუშავდა განსხვავებული სასწავლო გეგმა და ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ მათ სკოლაში დასაბრუნებლად.

ასევე გეტყვით, რომ ბოლო 8 წლის განმავლობში ჩვენ ავაშენეთ 174 ახალი საჯარო სკოლა და სრულად რეაბილიტირდა 257 სკოლა;

პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელდა მასშტაბური რეფორმა და ეს პროცესი გრძელდება. სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტს. განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების მოდერნიზაცია, მომზადდა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელთა კორპუსი, შეიქმნა სასწავლო რესურსები. პროფესიული განათლების სისტემა გახდა უფრო მოქნილი და მოერგო ყველა დაინტერესებული პირის საჭიროებას. ზრდასრულებისთვის შეთავაზებულია მოსამზადებელი პროგრამები სწრაფი დასაქმების ხელშესაწყობად.

რეფორმის განსაკუთრებული მიღწევაა საერთაშორისო პარტნიორების მიერ უნიკალურ პლატფორმად აღიარებული ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის მოდელი, რომელიც კერძო სექტორთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგია. დავაფუძნეთ პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც რეფორმის ყველა კომპონენტში კერძო სექტორის თანამონაწილეობას გულისხმობს.

პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტებმა გაითვალისწინეს ჩვენი რეკომენდაცია და, სოციალური მხარდაჭერის სახით, სტუდენტებს საფასურის გადახდის გადავადება ან მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი შესთავაზეს.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეგაპროექტ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს, რომელმაც წელს პირველი სტუდენტები მიიღო.

უნივერსიტეტში ადრონული თერაპიის ცენტრის პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოში თავს მოიყრის მსოფლიოს დონის მეცნიერთა საუკეთესო გუნდი, რაც ეროვნული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს.

* * *

ვმუშაობთ „კულტურის კოდექსზე“, რომელიც სამართლიანობის, პროპორციულობის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს დაეფუძნება.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის კომპლექსის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სრულად დაცვის მიზნით, საქმეში ჩაერთვებიან ევროპელი უმაღლესი კლასის სპეციალისტები.

ასევე გეტყვით, რომ გაიზარდა კულტურის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, მაღალმთიანი რეგიონების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის, შშმ პირთათვის.

ასევე გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდში ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე 200, მათ შორის, 65 ოქროს მედალი მოიპოვეს, მადლობა მათ.

ჩვენმა ქვეყანამ არაერთ მასშტაბურ სპორტულ შეჯიბრებას უმასპინძლა და გამორჩეული ადგილი დაიკავა მსოფლიო სპორტულ რუკაზე.

2022 წელს თბილისი კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიიღებს, 2023 წელს – თხილამურსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიოს ჩემპიონატს, 2025 წელს კი ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს ვუმასპინძლებთ.

ჩვენი მთავრობის მხარდაჭერით ბოლო წლებში აშენდა მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტები. ოლიმპიური სასახლე, ტანვარჯიშის და ფრენბურთის არენები, ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი, ბათუმის სტადიონი და სპორტის სასახლე, არაერთი სარაგბო და საფეხბურთო მოედანი მზად არის დიდი საერთაშორისო ტურნირების მისაღებად. შენდება კალათბურთის სპორტის სასახლე, რომელიც 2022 წელს ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

აქტიურად ვემზადებით ტოკიოს ოლიმპიადისთვის და მინდა თქვენთან ერთად წარმატება ვუსურვო ჩვენს ოლიმპიელებს.

* * *

რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, რა თქმა უნდა, ჩვენი ამოცანაა ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ადგილობრივი ხელისუფლების სისტემის დამკვიდრება.

კორუფციის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ეფექტიანობას ცხადყოფს საერთაშორისო გამჭვირვალობის ბოლო კვლევა. კორუფციის აღქმის ინდექსით ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს და წელსაც პირველია რეგიონში; მსოფლიო მასშტაბით კი, 180 ქვეყანას შორის 45-ე ადგილს ვიკავებთ და ვუსწრებთ ევროკავშირის 9 ქვეყანას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბიუჯეტის გამჭვირვალობის კუთხით სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის საქართველო სწორედ მე-5 ადგილს ვიკავებთ.

ასეთი გახლავთ ძალზე მოკლედ, ზოგად შტრიხებში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმე და შედეგები.

ვფიქრობ, საკმაოდ რთული პროცესების შემდეგ, დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინტერესების განუხრელი ერთგულებით, ყველა მიმართულებით ახალ ეტაპზე გადავედით.

დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უახლოეს დღეებში ვაქცინის მილიონ დოზაზე მეტს მივიღებთ. შეგახსენებთ, რომ ჩვენ ფაიზერთან მივაღწიეთ შეთანხმებას მილიონი ვაქცინის მიღებაზე, ასევე გვექნება ერთი მილიონი სინოფარმი, მილიონი სინოვაკი, ნოვავაქსის 700 000 დოზა. ჯამში, წლის ბოლომდე 4 მილიონ დოზას მივიღებთ, რაც იქნება სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ, როგორც დავგეგმეთ, მოსახლეობის 60 პროცენტი იქნეს აცრილი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს გმირ ექიმებს!

* * *

განვლილი ურთულესი პერიოდის შემდეგ ჩვენმა ეკონომიკამ ზრდა დაიწყო. გასული წელი იყო ძალიან რთული არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

მარტში ეკონომიკა 4 %-ით გაიზარდა და აპრილში გვქონდა რეკორდული - 44.8% ზრდა. მაისში ჩვენ ველოდებით 20%-ზე მეტ ზდას. არ მინდა მოვლენებს დავასწრო. ძალიან მალე იქნება გამოქვეყნებული მაისის თვის ზრდის სტატისტიკური მონაცემები.

ბოლო ას დღეში პოლიტიკური ცხოვრება დაუბრუნდა მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტს.

დღეს პარლამენტი უკვე სრულფასოვნად, ხალხის მიერ მიცემული მანდატების შესაბამისად ფუნქციონირებს. მინდა აქვე ვისარგებლო შემთხვევით და ამ პროცესში მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ბატონ შარლ მიშელს და ყველას, ვინც ჩართული იყო მედიაციის პროცესში.

ახლა ჩვენს წინაშეა პანდემიის საბოლოოდ დაძლევის, ეკონომიკის სწრაფი აღდგენის და ცხოვრების ნორმალურ რიტმთან დაბრუნების ამოცანები.

თუმცა საჭიროა კიდევ უფრო შორს გავიხედოთ. პარლამენტში ჩვენს წინა შეხვედრაზე გითხარით, რომ ჩემს ამოცანად მიმაჩნია, არ დავჯერდეთ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკვე მიღწეულ წარმატებებს და იმ პროგრესს, რომელიც ყველა მიმართულებით გვაქვს. ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ პრობლემებსა და გამოწვევებს, არა მხოლოდ ქვეყნის ოკუპაციას, არამედ უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალ დონეს.

დღეს საქართველოში 300 ათას ადამიანზე მეტია უმუშევარი, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 22 %-ია.

მაისის მდგომარეობით საარსებო შემწეობის მიმღები არის 153 000 ოჯახი, ეს არის დაახლოებით 550 000 ჩვენი თანამოქალაქე, მათ შორის არის 180 000 ბავშვი.

მხოლოდ ეს ციფრები გვარწმუნებს, რომ საჭიროა უფრო ენერგიული ნაბიჯები გადავდგათ განვითარებისკენ.

ჩვენ გვჭირდება განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, თანასწორობას, ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, დაახლოებას ჩვენს ისტორიულ მისიასთან – ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასთან.

გრძელვადიანი დაგეგმვა საჭიროა, რომ განვითარების პროცესები გავხადოთ პროგნოზირებადი. როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ისე ბიზნესისთვის, უცხოელი პარტნიორებისთვის – ყველასთვის მკაფიო უნდა იყოს, საით ვმოძრაობთ, საით მიდის ქვეყანა და საზოგადოება, რა კონკრეტულ შედეგებს მოიტანს ხელისუფლების მუშაობა.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ინერცია, როდესაც პოლიტიკოსები და პარტიები საარჩევნო კატეგორიებით, არჩევნებიდან არჩევნებამდე პერსპექტივაში ფიქრობენ. უნდა დავსახოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი ჰორიზონტი. სწორედ ამას გულისხმობდა ჩემი ინიციატივა განვითარების ათწლიანი გეგმის შესახებ, რომლის ძირითად კონტურებსაც ახლა წარმოგიდგენთ. გეგმა დასრულებულ სახეს ამ შემოდგომისთვის მიიღებს. სექტემბრის ბოლომდე დასრულდება ეს სამუშაოები. ჩვენი ამოცანაა, რომ ყველა ჩაერთოს ამ პროცესში – როგორც პარლამენტი, ისე არასამთავრობო სექტორი, კერძო სექტორი. ჩვენი უცხოელი პარტნიორები გამოთქვამენ სრულ მზადყოფნას, რომ ჩაერთონ ამ პროცესში, რათა მივიღოთ სრულყოფილი დოკუმენტი და ხედვა გრძელვადიანი განვითარების – როგორი უნდა იყოს ქვეყანა 2030-ში.

ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაში ეკონომიკას აქვს გადამწყვეტი როლი!..

ეკონომიკური განვითარების სიკეთეები თითოეულ ჩვენს მოქალაქეს რომ შეეხოს, საჭიროა ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი წარმოების განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაცია.

ამის მიღწევას ვაპირებთ მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის გაძლიერებით, ინოვაციების წახალისებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით, სახელმწიფო საწარმოთა, წიაღისა და ენერგეტიკის, სხვა სექტორების რეფორმით, ინფრასტრუქტურის განვითარებით.

ჩვენ უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისთვის დავიწყეთ ახალი სახელმწიფო პროგრამა ე.წ. ა31 გრანტი; განიხილება სამუშაო ძალის წინასწარი გადამზადების მექანიზმი, ასევე სხვა ინიციატივები.

შედეგად, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება მალე გაიზარდოს საერთაშორისო ინვესტორთა რაოდენობა ქვეყანაში.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

პროგრამით – „აწარმოე საქართველოში“ ჩვენი გეგმის მიხედვით დაფინანსდება 1300 ახალი საწარმო და 400 სასტუმრო, რომელთა ჯამური ინვესტიცია შეადგენს 6 მილიარდ ლარს.

მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, დაინერგება რეგიონალური მეწარმეობის ხელშეწყობის მექანიზმი, რაც გულისხმობს მთელი საქართველოს მასშტაბით, 10 რეგიონში „ბიზნესცენტრების“ განვითარებას.

ასევე სწრაფი ეკონომიკური განვითარება და ჩვენი ბიზნესის ხელშეწყობა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

* * *

ჩვენ კარგად გვესმის ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დადგა ბიზნესი პანდემიის შედეგად. როგორც ჩვენი ადმინისტრაციის პირველივე დღეებში განვაცხადეთ, ჩვენ ხელს შევუწყობთ ბიზნესის ეფექტიან და სწრაფ გაჯანსაღებას.

როგორც შეგპირდით, რეგულაციების შემსუბუქების და ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების პარალელურად, გაიზრდება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების, როგორიცაა, მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, არეალი და მასშტაბები.

დღეს შემიძლია გითხრათ, რომ ვიწყებთ სრულიად ახალ ეტაპს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდასაჭერად.

დაბალპროცენტიანი ბიზნესსესხი ხელმისაწვდომი გახდება თითქმის ყველა დარგის ბიზნესისთვის. ამასთან, ჩვენ არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთს დავაფინანსებთ, არამედ მოვახდენთ სესხის თანაგარანტირებასაც. ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტ ადამიანს და მეტ ბიზნესს გაუჩნდება ფინანსებზე წვდომა.

იხ. 6 გვ.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საწვრთნელი აუზი გაიხსნა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საწვრთნელი აუზი გაიხსნა, რომლის მშენებლობას საფუძველი ერთი წლის წინ ჩაეყარა. ოფიციალურ ცერემონიაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ იოსელიანი მონაწილეობდნენ.

თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ აჭარის მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება საზღვაო სფეროში განათლების გაუმჯობესებისთვის.

„ორმაგად სასიხარულოა, რომ მეზღვაურთა საერთაშორისო დღეს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩვენ ბათუმში გავხსენით საწვრთნელი აუზი, რომელიც მიზნად ისახავ სტუდენტების და მოქმედი მეზღვაურების კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს აუზი დაეხმარება მათ, რომ კიდევ უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ“, — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ. საწვრთნელი აუზის მშენებლობისთვის 1 600 000 ლარი დაიხარჯა. აუზი აკადემიის სტუდენტებსა და მოქმედ მეზღვაურებს საშუალებას მისცემს სავალდებულო პრაქტიკული წვრთნები საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად გაიარონ.

ინგირში დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის განახლება დასრულდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში დევნილთა საცხოვრებელ შენობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

სამუშაოს ფარგლებში შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა, რაც დევნილების მთავარ მოთხოვნა იყო. სამუშაოები არასამთავრობო ორგანიზაციამ „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ განახორციელა. დევნილთა სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია და „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ პროგრამის მენეჯერი თამარ ნასყიდაშვილი ინგირში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ და დასრულებული სამუშაოები მოინახულეს.

ურბნისში სკოლის სრული განახლება ვადაზე ადრე დასრულდება

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისში 300-მდე მოსწავლეზე გათვლილი სკოლის სრული რეაბილიტაცია ვადაზე ადრე, ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება, — ამის შესახებ ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ განაცხადა, რომელმაც მიმდინარე სამუშაო ადგილზე დაათვალიერა.

პროექტის თანახმად, სკოლის რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოხდება და შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის, მოეწყობა საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, სპორტული მოედნები, დამონტაჟდება გათბობის, ვენტილაციის და წყალმომარაგების სისტემები. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორ მილიონამდე ლარით დაფინანსდა და მას მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

ივლისის ხვატში სწავლის ძირი კიდევ უფრო მწარე იქნება!

სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის 38 400 აბიტურიენტი იბრძოლებს!..

აბიტურიენტებს სტუდენტის სტატუსის მოპოვება ორი წელია პანდემიის ფონზე უწევთ. წელს, სტუდენტის სტატუსის მოპოვებას 38 400 აბიტურიენტი შეეცდება და მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით 25 საგამოცდო ცენტრში მოუწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, თუმცა, უცნობია, რამდენი მოიპოვებს სტუდენტის სტატუსს.

როგორც შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრში განაცხადეს, ყველა უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების საკუთარი რაოდენობა აქვს დაწესებული.

„თუ რომელი ფაკულტეტები და უნივერსიტეტები ლიდერობენ, ამ ეტაპზე უცნობია, რადგან აბიტურიენტებს ფაკულტეტების შეცვლის უფლება ჯერ კიდევ აქვთ. ეროვნული გამოცდების შედეგები რომ გამოქვეყნდება, ამის შემდეგადაც კი მომდევნო დღის ჩათვლით, აბიტურიენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ, გადაანაცვლონ უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი. ანუ შეიძლება არჩეული ჰქონდეს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ აბიტურიენტს შეუძლია, იგი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტით შეცვალოს. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ გვაქვს ინფორმაცია, რომელი ფაკულტეტია ყველაზე პოპულარული“, — განგვიმარტეს შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრში.

საქართველოში დღეს ყველაზე პოპულარული პროფესიებია: **ფინანსური მენეჯერი, გენერალური მენეჯერი, სამედიცინო მომსახურების მენეჯერი, მარკეტინგის სპეციალისტი, პროექტების მენეჯერი, ბუღალტერი და აუდიტის სპეციალისტი, კომპიუტერული სისტემის ანალიტიკოსი, ინფორმაციის უსაფრთხოების ანალიტიკოსი, იურისტი, კონსტრუქტორი, გაყიდვების მენეჯერი, დაწყებითი კლასის პედაგოგი, ადამიანური რესურსების სპეციალისტი.**

წელს გამოცდების ჩაბარებისას, ასევე ცვლილებაა ის, რომ შესაძლოა, ზოგიერთ აბიტურიენტს ატესტატი მოსთხოვონ. კერძოდ, ეს იმ აბიტურიენტებს შეეხებათ, ვისაც სკოლა 2011 წლამდე აქვთ დამთავრებული.

ასევე, გასულ წელთან განსხვავებით, თუ აბიტურიენტს „კოვიდ 19“ დაუდასტურდა, მას წელი აღარ გაუცდება და გამოცდების ჩაბარება არანაკლებ 14 დღეში შეეძლება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ამ საგამოცდო სესიის მონაწილეთა განსაზღვრა მოხდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

რეკომენდაციების შესაბამისად, გასული წლის მსგავსად, გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ყოველი საგამოცდო სექტორის ფართობის 50%-ზე. თითოეული სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იქნება გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით; მაგიდებს შორის დაშორება იქნება მინიმუმ 2 მეტრი, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი — 1 მეტრი. პირბადის ტარება მთელი საგამოცდო პროცესის მანძილზე სავალდებულოა. კონდიციონერები ირთვება 30⁰ გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში.

აბიტურიენტებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგამოცდო ბარათი, ასევე, სურვილის შემთხვევაში — წყალი პლასტმასის ბოთლით, დამატებითი პირბადე და გელიანი (ე. წ. ტუშის) შავი ფერის კალამი 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 1 ივლისს იწყება.

ქეთი გიორგაძე

გზა ბავშვობაში

ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ყველა თბილისელისთვის საყვარელ ცნობილ მუშტაიდის ბაღს უზარმაზარი ტერიტორია ეკავა, მაგრამ, ყოვლად გაუმართლებელი და გაუაზრებელი ურბანული შემოტევის შემდეგ, შაგრენის ტყავივით დაპატარავდა. მიუხედავად ამისა, ის დღესდღეობითაც ქალაქის მკვიდრთა და მის სტუმართა დასვენების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილად რჩება, რომელსაც უაღრესად შესაშური ადგილმდებარეობის გარდა — დედაქალაქის შიგ გულში, — კიდევ ერთი, საგანგებოდ გამორჩეული ნიშანი აქვს: სწორედ აქ არის უნიკალური საბავშვო რკინიგზა, რომლისნაირი არათუ კავკასიაში თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოშიც სულ თითებზეა ჩამოსათვლელი. ახლახან, ივნისში კი მას დაარსებიდან 86 წელი შეუსრულდა.



მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზის პირველი საცდელი რეისი 1935 წლის აპრილში განხორციელდა, ხოლო საზეიმო გახსნა კი ივნისში შედგა. ყველაფერი 1933 წელს ტფილისის (1936 წლის შემდეგ — თბილისის) მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში დაიწყო, როცა იქაურ წრეში გაერთიანებულმა სკოლის მოსწავლეებმა საბავშვო რკინიგზის მოქმედი მაკეტის აგება ჩაიფიქრეს. მერე კი საკუთარი სარკინიგზო ხაზის აშენების იდეაც გაჩნდა. პატარა გამომგონებლებს ქმედითი დახმარება დედაქალაქის სარკინიგზო ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს და 750-მილიმეტრიანი ვიწროლიანდაგიანი ხაზი დაუპროექტეს, რომლის 400 მეტრი და ორი სადგური — „პიონერი“ და „სიხარული“ — იმ დროისთვის უკვე სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 225 დღეში აშენდა. მაგრამ, მატარებლის გამწევი ძალის — ლოკომოტივის თავისი ძალებით აგება რკინიგზის პატარა მშენებლებს არ შეეძლოთ, ამიტომაც ამიერკავკასიის დეპოს „ძველმანების“ საწყობში ვიწრო ლიანდაგებისთვის განკუთვნილი, გერმანული წარმოების A-1721 ორთქმავალი „გამოჩხრიკეს“, რომელსაც შეკეთების შემდეგ ეპოქის შესაფერისი სახელი — სსრკ სარკინიგზო მიმოსვლის მინისტრის ლაზარ კაგანოვიჩის პატივსაცემად ЛК-1 დაარქვეს.

მსოფლიოში პირველ საბავშვო რკინიგზის მთელი მომსახურე პერსონალი — მემანქანეები, სადგურების უფროსები, მეისრეები, საგზაო ოსტატები, მორიგე მოლარეები, გამცილებლები, კონდუქტორები — შესაბამის ფორმაში გამოწყობილი სკოლის მოსწავლეები იყვნენ. რკინიგზის ექსპლუატაციიდან, კერძოდ, სამგზავრო ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ორთქმავლისთვის საჭირო ქვანახშირის შესაძენად, დამრიგებელი მემანქანისა და დაცვის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურებაზე იხარჯებოდა.

საბავშვო რკინიგზას განვითარების პერსპექტიული გეგმაც ჰქონდა, რომლის თანახმად მისი სიგრძე 1600 მეტრამდე უნდა გაგრძელებულიყო და ელექტროფიცირებაც განხორციელებულიყო, თუმცა დიდი სამამულო ომის დაწყებამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ის ომის წლებშიც მუშაობდა, მანამდე კი, ჩვენებური მაგალითის მიბაძვით, საბავშვო რკინიგზები აშენდა ერევანში, კრასნოიარსკში, გომელში, დნეპროპეტროვსკში, ხარკოვში, დონის-როსტოვში, აშხაბადსა და კიევდ რამდენიმე სხვა, მთლიანად ყოფილ სსრ კავშირის 13 ქალაქში.

ავბედით 90-იან წლებში საბავშვო რკინიგზა არ მუშაობდა, თუმცა გაძარცვას სასწაულებრივად გადაურჩა. ათიოდე წლის წინათ ის კაპიტალურად შეაკეთეს, ამდენად მისი მუშაობა დღესაც წარმატებით გრძელდება — საბავშვო რკინიგზა კვლავაც მუშტაიდის ბაღის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო გასართობია, მისი გამორჩეული ატრაქციონი, რომელსაც ერთი რომ ბავშვებისთვის უდიდესი სიხარული მოაქვს, მათ მშობლებსა და ბებია-ბაბუებს კი ცოტა ხნით მაინც იმ სანუკვარ დროში აბრუნებს, საიდანაც „ყველანი მოვდივართ“!..

ოთარ ტურაბელიძე

პრემიერ-მინისტრის ანგარიში პარლამენტს

(მეოთხე გვერდიდან)

ამასთან, ჩვენ შემოგვაქვს თვისებრივად ახალი ფინანსური მექანიზმები იმპორტის ჩამნაცვლებელი და ექსპორტზე ორიენტირებული სექტორებისათვის, ასევე, სპეციალური პროგრამა აგრო- და ეკოტურისტული ობიექტების მხარდაჭერისათვის. დამატებით საგრანტო მექანიზმებით სარგებლობა შეეძლებათ ჩვენს მოქალაქეებს და ბიზნესს.

რაც მთავარია, ჩვენ არ ვიფარგლებით მხოლოდ ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერით და ვიწყებთ ახალ პროგრამას ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შეძენის ხელშეწყობის მიზნით. მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე ოჯახებს, რომელთაც შეეძინებათ შვილი, საშუალება ექნებათ ისარგებლონ იპოთეკური სესხის სუბსიდირებით და ამით გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

აღნიშნული ინიციატივების უზრუნველსაყოფად მიმდინარე და 2022 წლების პერიოდში მოხდება დამატებით 300 მილიონ ლარზე მეტი რესურსის მობილიზება.

გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ დამატებით, მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებში, 100 ათასი მოქალაქის დასაქმებას შევძლებთ და 50 პროცენტით გაიზრდება პროდუქტიულობა.

დღეს წიაღის სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 37 000 ადამიანი. წიაღის რეფორმის ეფექტიანი განხორციელების შედეგად, 2030 წლისთვის დამატებით შეიქმნება 30 000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს საგარეო ვაჭრობის განვითარება. დღეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ვსარგებლობთ 45 ქვეყანასა და ერთ საბაჟო ადმინისტრაციულ ერთეულთან. ჩვენ ვმუშაობთ, რომ ამას მომდევნო წლების განმავლობაში დაემატოს 11 ქვეყანა.

რაც შეეხება ტურიზმს. მე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ამ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ საქართველო მსოფლიო ტურისტულ რუკაზე წარმოჩინდეს როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მომსახურების მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი და უნიკალური შთაბეჭდილებების ქვეყანა. უკვე არსებულს დაემატება ახალი ტურისტულ ცენტრები ყველა მუნიციპალიტეტში. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, უახლოეს წლებში 13 მილიონამდე გავზარდოთ ტურისტების რაოდენობა.

ტურიზმიდან შემოსავალი მომდევნო წლების განმავლობაში, ჩვენი გათვლებით, 6.5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

* * *

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარება. ამისთვის ვგეგმავთ მიწის ფონდის სრულ რეგისტრაციას და მოსახლეობის მიწით, ტექნიკით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომსახურებით, ფინანსებზე წვდომით უზრუნველყოფას, გადამმუშავებელი და სარეალიზაციო პირობების შექმნას, ასევე ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

2012 წელს წყალუზრუნველყოფილი იყო 45 ათასი ჰექტარი, რაც წელს უკვე შეადგენს 172 ათას ჰექტარს. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ჩვენი ამოცანა უნდა იყოს 227 ათასი ჰექტარის შედეგის მიღწევა. ჩვენი გეგმის მიხედვით, მომდევნო წლების განმავლობაში მთლიანად იქნება აღდგენილი სამელიორაციო სისტემა.

ეტაპობრივად გაიზრდება სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე და ეს უნდა იყოს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

2030 წელს ჩვენ უნდა გავაორმაგოთ ღორის, ფრინველისა და საქონლის ხორცის წარმოება, ხოლო რძით უზრუნველყოფა, ჩვენი გათვლებით, 108 პროცენტს მიაღწევს. მილიარდამდე გაიზრდება ღვინის ექსპორტიდან შემოსული შემოსავლები.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი 2012 წელს იყო 500 მლნ დოლარი, 2020 წელს 942 მლნ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ათწლიან პერსპექტივაში ეს მაჩვენებელი უნდა გახდეს მინიმუმ 3 მილიარდი დოლარი.

ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა. მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს მომდევნო წლების განმავლობაში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და ამისთვის კომპლექსური ღონისძიებების გატარება ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად.

თანამედროვე ევროპულ მიდგომებს, რა თქმა უნდა, უნდა დაეფუძნოს დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვა. მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების ფართობი 800 000 ჰექტარიდან 1 მილიონ ჰექტარამდე გაიზრდება, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 17%-ს შეადგენს. დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავლები უნდა გახუთმაგდეს.

ჩვენი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე დაინერგება წყლის რესურსების მართვის ევროპული სისტემა. უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობა, უზრუნველყოფილი იქნება წყლის რაციონალური გამოყენება.

კიდევ უფრო გავამკაცრებთ ზომებს ბრაკონიერობის და ტყის გაჩეხვის აღმოსაფხვრელად.

* * *

მომდევნო 10 წლის განმავლობაში ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს: ხარისხიან ჯანდაცვაზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ჩვენი მოქალაქეებისთვის; პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰოსპიტალური ქსელის გაძლიერება; ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული პერსონალის მოტივაციის გაზრდა; არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ავადობის და სიკვდილობის განახევრება; ტუბერკულოზის და შიდსის ახალი შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება. ასევე, 10-წლიან პერსპექტივაში, ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდები 47-დან 30%-მდე უნდა შემცირდეს.

სოციალური პოლიტიკის მიზნებია სოციალური კოდექსის შემუშავება და მის ფარგლებში სოციალური, ჯანმრთელობის და სადაზღვევო რეფორმის გატარება.

კვლავ დიდ ყურადღებას დავუთმობთ განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას — ამის თაობაზე ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა როგორც სკოლების რეაბილიტაციას, ზოგადად, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ჩვენი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას საერთაშორისო დონეზე.

მომდევნო 10 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლება 2 მილიარდ 830 მილიონი ლარით, ხოლო მეცნიერება 2 მილიარდ 104 მილიონი ლარით დაფინანსდება.

ეტაპობრივად გაიზრდება მასწავლებლების ანაზღაურება და 2030 წლისთვის საშუალო დატვირთვის პირობებში 2200 ლარს გადააჭარბებს.

მომდევნო წლების განმავლობაში, ზოგადი განათლების ბიუჯეტი 2 მილიარდ 230 მილიონს გადააჭარბებს. უმაღლესი განათლების ბიუჯეტი — 270 მლნ ლარი, ხოლო მეცნიერების ბიუჯეტი 243 მლნ ლარი გახდება. პროფესიული განათლების ბიუჯეტი 554 მლნ ლარს მიაღწევს.

* * *

თავდაცვის მიმართულებით კიდევ ერთხელ მინდა ჩამოვაყალიბო ჩვენი გეგმები. ჩვენი გრძელვადიანი პრიორიტეტია ჯავშანსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის, საარტილერიო, დაზვერვისა და თვალთვალის, საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება.

ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს სამხედრო მრეწველობის განვითარება.

უახლოეს მომავალში დელტას ბაზაზე, ებრაულ კომპანიასთან ერთად, დავიწყებთ ამერიკული M4-ის ტიპის შაშხანების წარმოებას.

მომავალი წლიდან, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ვგეგმავთ უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებას ადგილზე, დელტას ბაზაზე.

სამხედროების ბინებით უზრუნველყოფის ჩვენი პროექტის ფარგლებში, უკვე გაისად 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს ბინას და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

2030 წელს ჩვენ გვექნება ეფექტიანი, თანამედროვედ აღჭურვილი საბრძოლო ძალა, რომელიც შეძლებს ადეკვატურად მოახდინოს საფრთხეებზე დროული რეაგირება.

განვითარდება და ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდება სამართალდაცვის სისტემა.

განხორციელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომლის მიზანია საგამოძიებო, საუბნო და ოპერატიული მიმართულებების სრული გამიჯვნა.

სრულად ამოქმედდება ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც მკაფიოდ გაიმიჯნება გამომძიებლისა და პროკურორის უფლებამოსილებები.

ჩვენი გეგმის მიხედვით, 10-წლიან პერსპექტივაში დაგეგმილია შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ვმუშაობთ ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ, უმაღლესი სტანდარტების ეროვნულ სტრატეგიაზეც, რომლის მიზანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ინკლუზიურობისა და თანასწორობის პოლიტიკის, გენდერული თანასწორობის გაძლიერება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შემცირება, ბავშვთა უფლებების დაცვა.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს გეგმებს, ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, რომ უახლოეს წლებში მაქსიმალურად მოხდეს ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაცია და ეს პროცესი ბოლომდე მივიდეს; ასევე, ჩვენი მომდევნო წლების ერთ-ერთი მთავარი გეგმა და ამოცანაა ევროპული სტანდარტის მცირე ზომის ციხეების შექმნა.

მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი და ყოფილი პატიმრების დასაქმება.

არასრულწლოვანი პატიმრები განთავსდებიან საოჯახო ტიპის დაწესებულებებში.

* * *

კიდევ ერთი მთავარი მიზანი, რაც უნდა იყოს მომავალი წლების განმავლობაში, ეს არის მიწის ფონდის რეგისტრაციის დასრულება. სრულად დაზუსტდება მისამართები ყველა დასახლებულ პუნქტში.

დასრულდება სერვისების დიჯიტალიზაციის პროცესი.

კულტურის სფეროში შემდგომი 10 წლის განმავლობაში გაწერილია ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები: უნდა გავზარდოთ ხელმისაწვდომობა კულტურაზე, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ამ მიმართულებით ჩვენ გავაგრძელებთ ძალიან აქტიურ მუშაობას, შემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერებას, სახელოვნებო განათლების განვითარებას და ხელმისაწვდომობას ჩვენი მოქალაქეებისთვის, ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

რაც შეეხება საგარეო მიმართულებით ჩვენს გაწერილ გეგმებს, მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ამის თაობაზე. რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება. გვაქვს გეგმა, შევიმუშაოთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც; საწყის ეტაპზე შეიქმნება გალის და ახალგორის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის კონცეფციაც. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება რეგულარული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათ შორის სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა: სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას — ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, მომდევნო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენა იცოდეს არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა 99%-მა; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვან ჩართულობას და კულტურათაშორისი დიალოგის განმტკიცებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ მოცანებსა და გეგმებს, ვიმეორებ, რომ 2024 წელს ჩვენ ვაპირებთ ევროკავშირში წევრობაზე განაცხადის ოფიციალურად შეტანას, ამისთვის ჩვენ გვჭირდება, დავასრულოთ ევროკავშირთან საკანონმდებლო ჰარმონიზაცია; ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება; აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება, მათ შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს მსხვილი ამერიკული ინვესტიციების მოზიდვა, ერთობლივი პროექტების განხორციელება, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

ეს გახლავთ ძალიან მოკლედ ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების გეგმის მონახაზი. ჩვენ დავიწყებთ თითოეული სამინისტროს პრეზენტაციებს ივლისიდან, ყველას ექნება საშუალება — პარლამენტს, ექსპერტებს, მოწვეულ სპეციალისტებს, დონორებს, — ჩაერთონ ამ პროცესში. ეს პროცესი მაქსიმალურად გახსნილი და გამჭვირვალე იქნება. ჩვენი ამოცანაა, სექტემბრის ბოლოს აღნიშნული გეგმა დავასრულოთ, წარვადგინოთ და დავიწყოთ მისი იმპლემენტაციის მაქსიმალური კონტროლი და მონიტორინგი.

ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის 10 000 დოლარამდე გაზრდა. უმუშევრობის მაჩვენებელი უნდა გახდეს 9%, ჩვენი მინიმალური გეგმის მიხედვით.

ძლიერი საქართველო უნდა იყოს საერთო სახლი როგორც ქართველების, აფხაზების, ოსების, ისე ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის, ყველა სტუმრისთვის, რომელიც ყველა ჩვენგანის ერთიანი ძალისხმევით უნდა აშენდეს და უნდა მივაღწიოთ ამ შედეგს. ჩვენ გვაქვს ამის ნიჭიც და პოტენციალიც. ჩვენ უნდა ვაქციოთ საქართველო ისეთ ქვეყნად, რომლისკენაც საუკუნეების განმავლობაში ისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები. ამისთვის ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური მშვიდობა, სტაბილურობა ქვეყანაში და გრძელვადიანი განვითარება, იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი, როგორც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური კულტურის ერმა და ძლიერმა სახელმწიფომ.

2021 წლის 25 ივნისი



თავი 10

დაავადებანი და ავადმყოფნი

ფსიქიკური კუთხით მელანქოლიას ღრმად ავადმყოფური ცუდი განწყობილება ახასიათებს, მელანქოლიკს გულისყური ეკარგება გარე სამყაროს მიმართ, ეკარგება აგრეთვე სიყვარულის უნარი, ყოველგვარი აქტიურობა უძნელდება, საკუთარი ღირსების გრძნობა უმდაბლდება, რაიც თვითსაყვედურებში, თვითგვემაში გამოიხატება და სასჯელის ბოდვურ მოლოდინში გადაიზრდება ხოლმე.

* * *

...აკვიატებული მოქმედებანი ანდა შესრულებული ცერემონიები სათავეს იღებენ ნიშანდობლივი ინდივიდის ყოვლის უფრორე ინტიმურ, უპირატესად სექსუალურ ცხოვრებაში.

* * *

აკვიატებული შეიძლება რომ გახდეს სუყოველი მოქმედება, უკეთუ ისინი შევსებულია მცირედი რამ დანამატებით, აგრეთვე რიტმულნი ხდებიან პაუზისა და განმეორებათა წყალობით. აკვიატებული მოქმედებანი უმეტეს შემთხვევაში ცერემონიალიდან ჩნდებიან.

* * *

აკვიატებულ მოქმედებებში ყოველივე რაციონალური და ასახსნელად ხელმისაწვდომია.

* * *

მელანქოლიურ მდგომარეობას ახასიათებს საკუთარი „მე“-ს ზნეობრივი დაუკმაყოფილებლობა.

* * *

დაავადება ადამიანს გვიჩვენებს დაყოფილს, გაორებულს, რომლის ერთი ნაწილი ემძვინვარება მეორე ნაწილს.

* * *

სუბლიმირება ის პროცესია, ლიბიდოს ობიექტს რომ ემართება და იმაში მდგომარეობს, რომ ლტოლვა სხვა მიზანზე გადადის, რაიც გვარიანად შორს არის სექსუალური დაკმაყოფილებისგან.

* * *

ტან-სხეულის დაფარვის კულტურასთან ერთად ერთდროული განვითარება აჩენს სექსუალურ ცნობისმოყვარეობას, რაიც იმისკენ ისწრაფვის, რომ აკრძალულ ნაწილთა გაშიშვლებით თვალწინ წარმოვიდგინოთ სექსუალური ობიექტი; ოღონდ ეს ცნობისმოყვარეობა შეიძლება რომ მხატვრული მიზნებისკენ მივმართოთ („სუბლიმირება“), უკეთუ სექსუალური ობიექტის გულისყურს მთლიანად ტან-სხეულზე გადავიტანთ.

* * *

ნევროტიკული დაავადების უახლოესი, ყოვლის უფრორე ადვილად აღმოსაჩენ და ყოვლის უფრორე გასაგებ საბაბს ის გარე ფაქტორი შეიცავს, რაიც შეიძლება მთლიანობაში ფრუსტრაციად (ამაო ცდად) მოვიხსენიოთ.

* * *

ფრუსტრაცია პათოგენურად (დაავადების გამომწვევად) იმიტომ მოქმედებს, რაკი ლიბიდოს ავსებს და ინდივიდს ცდის, რამდენად შეძლებს ამ ფსიქიკური დაძაბულობის გაზრდის მოთმინებას და რა გზებს დაუწყებს ძებნას ამ დაძაბულობისგან თავის დასაღწევად.

* * *

მაღალნიჯიერ ადამიანთა და მეტადრე მხატვრული შემოქმედების უნარიან პირთა ანალიზი გვიჩვენებს შრომისუნარიანობის, პერევერსიის (სქესობრივი გადახრის) და ნევროზის სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებულებას.

* * *

ზედაპირზე მდებარე და ახსნა-განმარტების თვალმისაწვდომობას ის გარემოება შეიცავს, რომ მაზოხისტს უნდა ისე მოექცნენ, როგორც პატარა, უმწეო და დამოკიდებულ ბავშვს, მეტადრე, როგორც საძაგელ ბალღს.

* * *

ექიმს სრულად არ უჩლუნგდება ადამიანის უბედურების გრძნობა. ამავე დროს ეს გრძნობა მწვავდება, უკეთუ ბედნიერი ხარ და გყავს ოჯახი.

* * *

ტანჯვას თავისთავად გარკვეული მნიშვნელობა აქვს; უკვე არცრა მნიშვნელობისაა, საყვარელმა ადამიანმა დაგტანჯა თუ მავანმა გულგრილმა; ის შეიძლება რომ გამოწვეული იყვეს აბსტრაქტული ფაქტორებით ან მდგომარეობებით: უტყუარი მაზოხისტი ყოველთვის იქით იშვერს ლოყას, სადაც დარტყმის საშუალებას ხედავს.

თავი 11

მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი

ალგათოგის თვით ყოვლის უფრორე მაღალი ხარისხიც კი ვერ გვიცავს შეცდომისგან; რომც გვგონია, პრობლემის სუყოველი ნაწილი თავს ერთად იყრისო, როგორც თავსატეხის რამ ნაწყვეტები, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რაიც სარწმუნოდ გვეჩვენება, აუცილებლად ჭეშმარიტი არ არის, და ჭეშმარიტება ხშირად დაუჯერებელია.

* * *

უარყოფა ჯერეთ კიდევ უკუგდება არ არის, ხოლო ნარუქი, ანუ ახალშემოღებული რამ – აუცილებლად წინ წაწევა.

* * *

სუყოველ ნარუქს თავისი ფესვ-ბორჯი და რაღაც უფრო ადრეულში წინაპირობა აქვს.

* * *

ტყუილია, თითქოს მეცნიერება ბრმად დაჩანჩალებდეს ერთი ექსპერიმენტიდან მეორისკენ და ერთ ცთომილებას მეორეთი ცვლიდეს. მეცნიერება ჩვეულებრივ იმ მხატვარსა ჰგავს, რომელიც თიხის მოდელზე მუშაობისას დაუღლელი რაღაცას ცვლის, ამატებს ან აკლებს თავდაპირველ ვარიანტს, ვიდრე არ მიაღწევს რეალურის მსგავს აუცილებელ ხარისხს ანდა წარმოსახულ საგანს.

* * *

უკეთუ მეცნიერ მუშაკთა თავისთავადობა, მასწავლებლისგან ფსიქოლოგიური ნაადრევი დამოუკიდებლობა მუდამ სასურველია, მეცნიერული თვალსაზრისით, რაიმე ხეირის ნახვა ამისგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ მეცნიერ-მუშაკთათვის ნიშანდობლივია ის პირადი თვისებები, რაიც, სამწუხაროდ, არცთუ ხშირადრე გვხვდება.

* * *

თავის მუდმივ არასრულყოფილებასა და დაუმთავრებლობას თუ დაუსრულებლობაში მეცნიერებას მოსდგამს თავისი განვითარება ახალ აღმოჩენებთან და ახალ წარმოდგენებთან ერთად. ცთომილებათაგან თავს რომ იცავს, მეცნიერება სწორად იქცევა, ეყრდნობა რა სკეპტიციზმს, არცრა ახალს არ იღებს, თუ არა მკაცრი შემოწმებით. ოღონდ ხანისად ეს სკეპტიციზმი ავლენს ორ მოულოდნელ თავისებურებას. ის მკვეთრად ეტოქება ახალს, ნარუქს რასმე, ხოლო იმავდროულად ინდობს და პატივს მიაგებს უკვე ცნობილსა და სანდოს, თანაც კიდევ იმით კმაყოფილდება, რომ ამ ახალს ჯერ კიდევ მანამ იცილებს თავიდან, სანამ გამოიკვლევდეს. მაგრამ მაშინ თავისთავად ახლით გამოწვეული პრიმიტიული რეაქციის გაგრძელებაა, შირმაა ამ ახლის შესანარჩუნებლად.

* * *

სწორედაც ესეგვარია მეცნიერების გზა: ნელი, დაყოვნებული, ცეცებ-ცეცებით გასავლელი, ეკლიანი.

* * *

ჩვენთვის ცნობილია, ამ სამყაროს რა მცირე საიდუმლოებისთვის შეძლო მეცნიერებამ შუქის მოფენა; ფილოსოფოსთა არც ერთ მქუხარე განცხადებას არცრის შეცვლა არ ძალუძს ამ სამყაროში და ოდენ მოთხოვნილებათა უტყუარობაზე დაფუძნებული მუშაობის ბეჯით გაგრძელებას შეუძლია თანდათან ცვლილებასთან მიყვანა.

* * *

არც ერთ ჩვენგანს არ ძალგვიძს იმის განჭვრეტა, როგორი იქნება ჩვენს თეორიულ ძიებებზე კაცობრიობის საბოლოო განსჯა. სუყოველ ცალკეულ მკვლევარს ისღა დარჩენია, დაიცვას გამოცდილებაზე დაფუძნებულ-დალიბოებული რწმენა მეტოქეთა გატრიზავების გათვალისწინებით გულმოდგინე თვითკრიტიკის შემდეგ.

* * *

თანამედროვე მეცნიერება საერთოდ ფრთხილი გახდა და ტრადიციას უფრორე დიდი ნდობით ექცევა, ვიდრე ისტორიულ კვლევათა გარიჟრაჟზე ექცეოდა.

* * *

ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი, რომ სულაც ერთი და იგივე არ არის – რაიმე აზრის ერთხელ ან რამდენჯერმე გამოხატვა ნაჩქარევი შენიშვნის სახით, ანდა ამ აზრის სერიოზულად აღქმა, სიტყვასიტყვით გაგება, სუყოველი საწინააღმდეგო დეტალის ჩამოცილება და უკვე ჭეშმარიტებად აღიარებულ სხვა დეტალთა შორის დამკვიდრება. ეს დაახლოებით ისევე განსხვავდება, როგორც რომ კურკური განსხვავდება კანონიერი ქორწინებისგან ყველა თავისი მოვალეობითა და სიძნელეებით.

* * *

სუყოველი აღმოჩენა ხდება ერთზე მეტად, და არც ერთი არა ხდება ერთბაშად, წარმატება კი სუყოველ შემთხვევაში თან არ ახლავს დამსახურებას.

* * *

არაკეთილმოსურნეობა, ერთი მხრივ, და მიკერძოებულობა, მეორე მხრივ, ისეთ მდგომარეობას ქმნიან, რა მდგომარეობაც არახელსაყრელია ობიექტური კვლევისთვის.

* * *

უსიტყვოდ უნდა უკუვაგდოთ თეორიები, უკეთუ იმათი პირველი ნაბიჯები არ შეესაბამება დაკვირვების საგანს და მაინც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სანაცვლოდ წამოყენებული თეორია დროებითი მოვლენაა.

* * *

მკაცრად თუ ვიტყვით, არსებობს მხოლოდ ორი მეცნიერება: ფსიქოლოგია, შეურყვნელი და გამოყენებითი და ბუნებისმეტყველება.

* * *

გიოლოგია ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობათა სამეფოა, იმისგან ყოვლის უფრორე შემძვრელ აღმოჩენებს უნდა ველოდოთ და არ ძალგვიძს ვარაუდი, რას გვიპასუხებს ის ჩვენს კითხვებზე ათეულობით წლის შემდგომ.

* * *

ცოცხალ ორგანიზმთა მეცნიერება გვასწავლის, რომ პროგრესი რაღაც ერთში ხშირადრე შეიძინება ანდა შეეწონასწორება მეორეში რეგრესის ხარჯზე.

* * *

ათადან-გაგადან ჩამოაყალიბა ადამიანმა იდეალური წარმოდგენა თავის ყოვლადძლიერ და ყოვლისმცოდნე ღმერთებზე, რომელთაც დააკისრა სუყოველივე, რაიც მიუღწევლად ანდა აკრძალულად ეჩვენებოდა თავის სურვილთათვის. ესე იგი, ჯეროვანია დასკვნა: ეს ღმრეთნი კულტურის იდეალნი იყვნენ. ამჟამად ადამიანი, არსებითად მიეახლოვა ამ იდეალთა მიღწევას და კინაღამ თავად გახდა ღმერთი. მართალია, ოდენ იმდენად არაჩვეულებრივ დონემდეც ადამიანისთვის საერთოდ გონმისაწვდომია იდეალები.

* * *

შეცნოგის პროგრესი ვერ იტანს ფორმალურ ცნებათა ფესვმოუკიდებლობას.

* * *

ადამიანთა ბოლო თაობებმა გაუგონარ პროგრესს მიაღწიეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ტექნიკურ გამოყენებაში, ამ მეცნიერებათა ძალაუფლება ბუნების მიმართ ადრე წარმოუდგენელ საზღვართ გასცდა. ადამიანები საფუძვლიანად ამაყობენ თავიანთი მიღწევებით. თუმცაღა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ სივრცისა და დროის ახლახან დაუფლებამ, ბუნების ძალთა დამორჩილებამ, ათასწლოვან იმედ-გენცთა განხორციელებამ ვერ აამაღლა სურვილთა დაკმაყოფილების ხარისხი, რასაც ისინი ცხოვრებისგან ელოდნენ, და თავი ბედნიერად ვერ იგრძნეს.

* * *

მანძილის შემამოკლებელი რკინიგზა თუ არ იქნებოდა, ბავშვი მშობლიურ ქალაქს ვერ მიატოვებდა, და არც ტელეფონი გახდებოდა საჭირო, რათა იმისი ხმა გაეგონათ.

* * *

უკეთუ გემები არ ყოფილიყო, ოკეანეებს რომ კვეთენ, მაშინ ვერც ჩემი მეგობარი წავიდოდა შორეულ ნაოსნობაში, მე კი ტელეგრაფი არ დამჭირდებოდა ჩემი განგაშის დასამშვიდებლად.

თავი 12

ადამიანები და ურთიერთობანი

თუ ადამიანები სხვებს არ დასჯიდნენ დანაშაულის გულისთვის, მაშინ ისინი თავიანთ თავში ისეთსავე სურვილს აღმოაჩენდნენ, რაიც დამნაშავეებს აქვთ.

* * *

...დროდადრო ადამიანები ავადდებიან სწორედ მაშინ, როცა ღრმად ნაფიქრი და გულში დიდი ხნის გადანახული სურვილი აუხდებათ ხოლმე.

* * *

...ადამიანთ, ჯერ ერთი, ინსტინქტური სიყვარული არა აქვთ შრომის მიმართ, მეორეც, გონების საბაბსუბაბი უმწეოა იმათივე ვნებათა წინააღმდეგ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,



— ეგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72, 79-80, 89-90, 99-100, 103-104, 139-140

დაღუპული ქართველი სამხედროების გადმოსვენება ავღანეთიდან სამშობლოში

100-ზე მეტი როტაციისა და მასში 22 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის ძალების ბოლო ქვედანაყოფი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკას, ნატოს 20-წლიანი მისიის დასრულების შემდეგ, 2021 წლის სექტემბრისთვის დატოვებს.

ვიცე-პოლკოვნიკი შარნაოზ სვანიძე, ამჟამად 41-ე ქვეითი ბატალიონის მეთაური, ნატოს მისიებში 16 თვე მსახურობდა და აქედან 7 თვე – ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში, ჰელმანდის პროვინციაში. ფარნაოზი რადიო თავისუფლებას რეალურ ბრძოლებში მიღებული გამოცდილების, სიკვდილთან პირისპირ დგომის, მეგობრების დაკარგვის ტკივილისა და შიშზე გამარჯვების სიამაყის შესახებ უამბობს.

იქ - ავღანეთში...
როცა სიკვდილზე იმარჯვებ

სიკვდილის პირისპირ

2013 წლის 13 მაისი – ეს დღე არასდროს დაავიწყდება. გამაყრუებელი აფეთქებების შემდეგ, ფარნაოზ სვანიძე სხვა სამხედროებთან ერთად, დიდხანს ეძებდა ქვიშაში დამარხულ თანამებრძოლს. ესმოდა განწირული ხმები – **„ცოცხალი აღარ იქნება“! „აქამდე მიწაც გაგუდავდა“!** მაგრამ ძებნა გრძელდებოდა. სიკვდილს გადარჩენილი სამხედროები ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, შიშველი ხელებით, სასოწარკვეთილი სისწრაფით თხრიდნენ გახურებულ ქვიშას – იქნებ, ცოცხალი ეპოვათ.

33 წლის უმცროსი სერჟანტი, **ზვიად დავითიძე** იმ დღეს მეამბოხე თალიბების შეტევას ემსხვერპლა. ზვიადი აჭარიდან იყო – **„ძალიან კარგი ბიჭი... მეგობრული და ძალიან კეთილი“** – იხსენებს ფარნაოზი.

2013 წლის 13 მაისს ქართულმა ქვედანაყოფმა ავღანეთში კიდევ ორი ჯარისკაცი დაკარგა – კაპრალები, **ალექსანდრე კვიწინაძე** და **ვლადიმერ შანავა**.

13 მაისის აფეთქება მოულოდნელი იყო ყველასთვის – თალიბებმა ბომბებით დატვირთული ავტომობილი ნატოს კოალიციის სამხედრო ბაზა „შირ გაზის“ კედელს დაჯახეს. შემდეგ, ბაზის ტერიტორიაზე შეიარაღებული თვითმკვლელების ჯგუფი შეიჭრა. პირველი აფეთქების ხმა დაახლოებით 15:00 საათზე გაისმა. ეს ზუსტად ის დრო იყო, როცა ფარნაოზი მეგობრებთან ერთად ყოველდღე გადიოდა ეზოში – ცოტა სულის მოსათქმელად, სალაპარაკოდ, სიგარეტის მოსაწევად, წვენის დასალევად – **„ალბათ, ბედისწერაა ეს ცხოვრება. იმ დღეს რატომ არ გავედი, არ ვიცი... მაგას ვერ ავხსნი“.**

ფარნაოზ სვანიძე მაშინ მსუბუქად დაშავდა. მეგობარს სთხოვა თბილისში, მისი ოჯახისთვის მიეწვდინა ხმა; შეეტყობინებინა, რომ გაუმართლა, გადარჩა, ცოცხალია.

გვეუბნება, რომ ეს იყო დღე, როდესაც **„ადამიანების ნამდვილი სახე“** დაინახა – მიხვდა, რომ კრიტიკულ სიტუაციაში შესაძლოა „სასწაულად მამაცი“ აღმოჩნდეს ის, ვინც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გეგონა. და კიდევ, გააოცა ქართულ-ამერიკული ქვედანაყოფის საოცარმა მობილიზებამ – **„წუთებში მოხდა სრულიად განადგურებული ბაზის მართვა-კონტროლისა და კავშირგაბმულობის სისტემების აღდგენა, უსაფრთხოების გაძლიერება და საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა“.**

სამხედრო ცხოვრება ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც მაშინ პლანეტის ყველაზე ცხელ წერტილად ითვლებოდა, ძველებურად გაგრძელდა.

სამ კვირაში, 2013 წლის 6 ივნისს, თალიბები, ისევ ჰელმანდში, იმავე ხელწერით დაესხნენ, თავს ამჯერად უკვე ბაზა „ორბს“. ამ აფეთქებამ საქართველოს სამხედრო კონტინგენტიდან კიდევ 7 ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა.

ფარნაოზი ოჯახთან ერთად

ეს, დროის მცირე მონაკვეთში, მეორე უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო.

2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეს, ფარნაოზ სვანიძეს, იმ დროს უკვე ძალიან ბევრი რამ ჰქონდა ნანახი და განცდილი; მაგრამ ამბობს, რომ ამ აფეთქებებმა მასზე მაინც განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედეს.

ავღანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, დაახლოებით ორი წელი დასჭირდა, რომ კარის გაჯახუნების ხმაზე ან მოულოდნელ ხმაურზე უნებურად არ წამომხტარიყო – **„მეგონა მარტო მე ვიყავი ასე. მერე გავიგე, რომ სხვებიც ასე ყოფილან“.**

2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო ნატოს სამხედრო მისიას შეუერთდა, ავღანეთიდან სამშობლოში **32** კუბო ჩამოასვენეს. მაგრამ საქართველოდან ავღანეთში წასვლის მსურველთა რიცხვი არ შემცირებულა.

ბევრისთვის ამ შესაძლებლობის გამოყენება, დამატებით, ფინანსურადაც იყო საინტერესო. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სამხედროები აქაურ ხელფასსაც იღებდნენ და ავღანეთში სამსახურისთვის თვეში მინიმუმ 900 დოლარიც ემატებოდათ.

პირველი 7-თვიანი სამსახურის შემდეგ, ფარნაოზ სვანიძე 2016 წელს ისევ ჩავიდა ავღანეთში და ქაბულში, სამხედრო წარმომადგენლობაში 9 თვის განმავლობაში იმსახურა.

რა უნდათ ქართველებს ავღანეთში?! – სკეპტიკოსების მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვას ვიცე-პოლკოვნიკი ასე პასუხობს: **„ჩვენ ყოველთვის გვსურდა, რომ ვყოფილიყავით საერთაშორისო საზოგადოებისა და თანამეგობრობის ნაწილი და როდესაც გვინდა, რომ რაღაც მივიღოთ, ჩვენც რაღაც უნდა გავიღოთ... საერთაშორისო მხარდაჭერაში, ჩვენ რაც გვაქვს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი არის სამხედროების კისერზე, ამ ოპერაციებიდან გამომდინარე“.**

- ნატოს პირველ მისიაში (ISAF – „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები“), 2004-2014 წლებში, როტაციის წესით, მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის ძალების დაახლოებით 12 ათასი სამხედრო;
- ნატოს მეორე მისიაში (RSM – „მტკიცე მხარდაჭერის მისია“), 2015 წლიდან დღემდე, ასევე როტაციის წესით, საქართველოდან ავღანეთში დაახლოებით 10 ათასი სამხედრო გაიგზავნა.
- სხვადასხვა დროს საქართველოს სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში სხვადასხვა მასშტაბის იყო; 2012-2013 წლებში ავღანეთის მისიაში 1500-ზე მეტი სამხედრო მსახურობდა.

ავღანეთში სიკვდილი ჩასაფრებული იყო ყველგან. არცთუ იშვიათად ხდებოდა, რომ ნატოს კოალიციის ჯარისკაცებს, იქვე ბაზის ტერიტორიაზე, მოულოდნელად ცეცხლს გაუხსნიდა, მაგალითად, მათთვის ძალიან კარგად ნაცნობი ავღანელი მზარეული ან დამლაგებელი. შეიძლებოდა ვიღაცას ასევე მოულოდნელად თავიც აეფეთქებინა.

გაცილებით უფრო დიდი საფრთხე იყო ბაზის გალავნის მიღმა...

გალავნის მიღმა: მისია ავღანეთსა და საქართველოში

ფარნაოზის ქვედანაყოფს, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, მომარაგების **მთავარი გზების უსაფრთხოების დაცვა და კონტროლი ევალებოდა. მეამბოხე თალიბები სწორედ მომარაგების არხების გადაკეტვით ცდილობდნენ პრობლემების შექმნას ნატოს სამხედრო ბაზებისთვის და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტებისთვის.**

მეამბოხეები გზებს ნაღმავდნენ, ავტომობილებს აფეთქებდნენ. ამ გზით მათ ნატოს მრავალი ჯარისკაცის სიცოცხლეც შეიწირეს.

აფეთქებული ბაზა, ჰელმანდის პროვინცია, 2013 წელი

გზების უსაფრთხოების დასაცავად კოალიციის სამხედროებს ხშირად ირგვლივ მდებარე სოფლების მკვიდრთა სახლებში შესვლაც უწევდათ. სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯარისკაცებმა წინასწარ იცოდნენ – სად და ვინ ამზადებდა, მაგალითად ხელნაკეთ ბომბებს. მაგრამ ვითარება რთული იყო – „ერთ ოჯახში შესაძლოა, ყოფილიყო ჩვეულებრივი პოლიციელიც, სამხედრო მოსამსახურეც და თალიბანის წარმომადგენელიც“.

სროლის უფლება ყოველთვის არ ჰქონდათ და ისედაც, აბა როგორ ესროდნენ ადამიანს, რომელიც ბავშვს ამოეფარებოდა – **„საერთაშორისო რეგულაციები (ძალთა ესკალაციის წესები) გვზღუდავდა ცეცხლის გახსნაში... ხშირი იყო შემთხვევა, როცა თალიბანის წარმომადგენლები, ტერორისტებისა თუ ამბოხებულების წარმომადგენლები პატარა ბავშვებს სპეციალურად იყვანდნენ ხელში, რომ ცეცხლი არ გაგვეხსნა. ამერიკელები ეძახდნენ „შილდს“ (Shield-ფარი), ანუ ბავშვებს იყენებდნენ ფარად“.**

სროლა მხოლოდ გარკვეულ მანძილზე და განსაკუთრებულ შემთხვევებში იყო ნებადართული – თუკი, მაგალითად, თვითმკვლელი თავის აფეთქებას ცდილობდა, ანდა სასროლად მოიმარჯვებდა იარაღს. ყოველ ჯერზე, ცეცხლის გახსნის აუცილებლობა სათანადოდ უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და თუკი კონკრეტულ შემთხვევებში, საფრთხის არსებობას ზემდგომებს სათანადოდ დაუსაბუთებდნენ, განსაცდელში ჩავარდნილ ჯარისკაცებთან დამხმარე ძალებიც მალე გამოჩნდებოდნენ – ხმელეთიდან თუ ზეციდან.

„დაწყებული პირადი იარაღით – ე.წ. შაშხანით, დამთავრებული ე.წ. „ჰაი მარსის“ რაკეტებით, ვერტმფრენებიდან და თვითმფრინავებიდან ახლო საჰაერო მხარდაჭერით, ნებისმიერი სახის ცეცხლის გამოძახების შესაძლებლობა გვქონდა, თუკი არსებობდა რეალური საფრთხე ჩვენი ქვედანაყოფისთვის. დასაბუთების შემთხვევაში, შეგვეძლო უმოკლეს დროში მიგვეღო ნებისმიერი სახის დახმარება. ეს ძალიან დიდი **გამოცდილება იყო ჩემთვის, რაც შევიძინე ავღანეთში და არასოდეს დამავიწყდება“.**

ვიცე-პოლკოვნიკი ფარნაოზ სვანიძე მე-4 ბრიგადის 41-ე ქვეითი ბატალიონის მეთაურად ახლახან დაინიშნა. გვეუბნება, რომ შესაძლოა, ავღანეთში გათავისებული საბრძოლო ტაქტიკა განსხვავებული და სპეციფიკურია, მაგრამ არ ეთანხმება ექსპერტების მოსაზრებას, რომ იქ ნასწავლს საქართველოს თავდაცვის მიზნებისთვის ვერ გამოიყენებს. ფარნაოზი ამბობს, რომ ავღანეთში, ნატოელ სამხედროებთან ერთად, რეალურ საბრძოლო გარემოში ბევრი ისეთი უნარ-ჩვევა შეიძინა და ბევრი რამ ისეთიც ისწავლა, რაც აუცილებლად გამოადგება.

„ასეთ მისიებში ოპერაციები სრულდება რეალურ გარემოში და ჯარისკაცი ფსიქოლოგიურად ეჩვევა რეალურ გარემოში მოქმედებას, როცა იცის, რომ მას შეიძლება ესროლონ, აფეთქდეს და ასე შემდეგ... ის ფსიქოლოგიურად თავის შიშს ლახავს“.

ფარნაოზი ყოველთვის შეახსენებს თავისი ბატალიონის სამხედროებს – რას უნდა მიაქციონ ყურადღება წვრთნების დროს, რა უნდა დაიმახსოვრონ სამომავლო წარმატებებისთვის; რომ აუცილებელია წესრიგი და, ელემენტარულად, ზოგჯერ საჭირო რაოდენობის წყლის დალევაც კი წყვეტს ბევრ რამეს. ფარნაოზს სულ ახსოვს, რომ რაც უნდა ბუნებით მამაცი იყოს ჯარისკაცი, გამარჯვებისთვის მხოლოდ ეს არ კმარა.

41-ე ბატალიონის შემადგენლობა, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს თავდაცვის ძალები, ნატოს სტანდარტებით იწვრთნება. ჯარისკაცები არცთუ იშვიათად მონაწილეობენ საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ მრავალეროვან სამხედრო წვრთნებში.

ივნისის დასაწყისში „ალფა“ ასეულის მიერ წვრთნის დროს ნაჩვენებმა შედეგმა 41-ე ბატალიონის მეთაური ძალიან კმაყოფილი დატოვა – სამხედროებმა, ჯერ ფუჭი და მერე ნამდვილი ვაზნებითა და სხვა შეიარაღებით, სამიზნეების თითქმის 100% გაანადგურეს – **„ჩვენს მიერ მათზე დაკისრებული ამოცანა და საწვრთნელი მიზნები, რაც გვქონდა, შეასრულეს ხუთიანზე... თქვენ თვითონ იხილეთ შედეგი, ჩვენი მოწინააღმდეგე რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა – არასასურველ მდგომარეობაში“.**

საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ ავღანეთის ორივე მისიაში მონაწილეობით თავდაცვის ძალებს „საკმაოდ დიდი ცოდნა“ და გამოცდილება დაუგროვდა და ასევე, ამ **„რთულ მისიებში“** მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების მსურველი საქართველოსთვის — **„ნატოსთან თავსებადობის გაღრმავების“** კუთხით.

მისიის დასასრული ნდობა და მადლიერება

მისია დასასრულს უახლოვდება. საქართველოს სამხედრო კონტინგენტი, ნატოს კოალიციის მთელ შემადგენლობასთან ერთად, თანდათან ტოვებს ავღანეთს.

მაისის ბოლოს, ავღანეთიდან საქართველოში უკვე დაბრუნდა ერთი ასეული, რომელიც „მაზარი შარიფში“ გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში მოქმედებდა.

ავღანეთში კვლავ რჩება საქართველოს 730 სამხედრო მოსამსახურე. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ისინი საქართველოში „უახლოეს მომავალში“ დაბრუნდებიან, ნატოელ პარტნიორებთან კოორდინაციით.

ნატოს ხელმძღვანელობა, ალიანსის ქვეყნების ლიდერები თუ აშშ-ის უმაღლესი პირები ხშირად გამოხატავდნენ მადლიერებას „მამაცი ქართველი ჯარისკაცების“ მიმართ, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოებას ემსახურებოდნენ. საერთაშორისო პარტნიორები ხშირად ეუბნებოდნენ საქართველოს იმასაც, რომ მათი მხრიდან გამოხატული მხარდაჭერაც დიდწილად ქართველი სამხედროების დამსახურება იყო.

ეს ყველაფერი ფარნაოზ სვანიძისთვისაც არაერთხელ უთქვამთ ნატოელ, ამერიკელ გენერლებსა თუ რიგით სამხედროებს. ნდობასაც ყოველთვის გრძნობდა და კარგად ახსოვს ამერიკელი სამხედროების სიტყვებიც: **„ქართული ქვედანაყოფი ერთადერთია, რომელთან ერთადაც ნებისმიერ ოპერაციაში მივიღებთ მონაწილეობასო“**.

სხვადასხვა დროს მიღებული მედლების კოლექციასთან ერთად, ფარნაოზ სვანიძე გულმოდგინედ ინახავს მედალიონებს (ე.წ. კოინებს), რომლებიც მან განსაკუთრებული დამსახურების, მადლიერების, პატივისცემისა და მეგობრობის ნიშნად მიიღო სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის სამხედრო პირებისგან.

ერთ-ერთი მედალიონი მას ამერიკელი საზღვაო ქვეითების სამ ვარსკვლავიანმა გენერალმა გადასცა, რომელსაც, დიდი აუდიტორიის დუმილის ფონზე, ფარნაოზ სვანიძემ დაუფიქრებლად უპასუხა შეკითხვაზე, თუ რა იყო ამერიკელი საზღვაო ქვეითების დევიზი — **„Semper fidelis“ — „მუდამ ერთგული“ („Always faithful“)** .

ფარნაოზს სჯერა, რომ ჯარის სიძლიერე სწორედ ადამიანების ერთგულებაზე დგას და მისი ბატალიონის ახალბედა ჯარისკაცებსაც მუდამ უმეორებს — ქვედანაყოფი საკუთარი ოჯახივით უნდა შეიყვარონ — ყველაზე დიდ დროს ისინი ხომ ერთად ატარებენ და შეიძლება, სიკვდილის პირისპირაც ერთად მოუწიოთ დგომა.

მსოფლიომ კარგად იცის, რომ ავღანეთში წასულმა სამხედროებმა ბევრი რამ დათმეს გლობალური მშვიდობისთვის — სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ოჯახის წევრებთან ყოფნის ბედნიერება.

ავღანეთის მეორე მისიიდან 9 თვის შემდეგ რომ დაბრუნდა, ერთადერთმა შვილმა, ბარბარემ, რომელიც თბილისში სულ რაღაც 6 თვის დატოვა, მამა ვეღარ იცნო. მეწყინაო, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავიო — ამბობს ფარნაოზი და დღეს უკვე იცის — **„მეტი დრო უნდა გაატარო შვილთან, რომ დაგიმახსოვროს“**.

„ადამიანი პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობით, მიზანდასახული და ძალიან ერთგული“ — ასე ახასიათებს ფარნაოზ სვანიძეს მეუღლე, თამარ რუხაძე. ის უკვე დიდი ხნის შეგუებულია — ხვალ რომ საქმეს დასჭირდეს, ფარნაოზი დაუფიქრებლად აიღებს იარაღს, მოიკიდებს სამხედრო ზურგჩანთას და სახიფათო გზას, სადაც ყოველ მოსახვევში სიკვდილია ჩასაფრებული, კიდევ ერთხელ გაუყვება.

ლელა კუნჭულია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

გამომცემლობა „Carpe diem“ დასტამბა ჯემალ მეხრიშვილის ნოველების ხუთასგვერდიანი წიგნი „საიტის ტურები“. გთავაზობთ ერთ-ერთ ნოველას.



ჯემალ მეხრიშვილი

ამოუხსნელი საიდუმლო

ლოჯიის ღია სარკმელთან მდგარი შუახნის მწერალი საგურამოს შტოქედისკენ თვალგაშტერებით გაიყურებოდა, თან მოთმინებით იცდიდა, მეუღლეც როდის გამოეწყობოდა — დღედათვლილი მეგობარი დრამატურგის მოსანახულებლად გლდანში უნდა წასულიყვნენ.

— აი, მეც მოვრჩი. — ქმარს ხმადაშვებით აუწყა ვითარების გათვალისწინებით მოკაზმულმა ქალმა, თუმც მოულოდნელად კილო შეიცვალა, — კაცო, სულ მავიწყდება და მავიწყდება!.. რაკი... ბარემ ხარაზთან ჩემს ჩექმებსაც...

სიტყვა ,,ხარაზის“ ხსენებაზე მწერალი უცებ ისე გადაფითრდა, შემკრთალი ქალი ქმარს სახეში მეცურად ჩააცქერდა.

— აბა, ახლებივით ჩექმები გადავყარო?! — თანამეცხედრეს მორჩილად აუჩურჩულდა, — რა იყო, ისეთი რა ვთქვი — ადამიანის ფერი აღარ გადევს!

— ეგ მერე, მერე!... ჩექმები სად გაგექცევა?! — არეული მწერალი ნაჯერ-ნაჯერ ისროდა, — მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობიდან ერთი უსიამოვნო კურიოზი გამახსენდა და იმან... წავიდეთ, წავიდეთ, თორემ შემოგვაღამდება!

კაცი იძულებული იყო, ეცრუა. სინამდვილეში აი, რა გაახსენდა!

* * *

მწერალი ერთ მივარდნილ სოფელში დაიბადა და იქვე გაიზარდა. მეექვსე კლასის მოსწავლე იქნებოდა, ბურთაობისგან მარჯვენა ფეხსაცმელი ნაადრევად რომ გამოეფაშვა. დედამ ლანჩაარღვეული ფეხსაცმელი გაურეცხა, გაუშრო და ხარაზთან გაატანა.

ორღობეებში სულიერი არ ჭაჭანებდა. დასავლეთის ცივი ქარი უბერავდა. მოშავგნელებულ ცას გაზაფხულის ანწლისფერი ღრუბლები მუქარით ეგრაგნებოდა.

დამრეცი ხევისკენ გადაკუნტულ სახარაზოში, ჩამბალი ტყავისა და წებოს სუნით რომ ყარდა, გულსაფრიანი ხარაზის მეტი არავინ დახვედრია. დაბალ პუფზე მხარწახრით იჯდა და ჩაბღუჯულ მუშტას* ქალის ჩუსტის საძირეს მონდომებით უბასტუნებდა!

შემოსული სტუმრისთვის სქელულვაშა ხარაზს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია: თავაუღებლად, წარბაკვრით ისე ანიშნა სამფეხაზე, ჩუსტისთვის თვალი არ მოუწყვეტია!

თავისი არსებობის მანძილზე ამ პატარა სოფელმა ვერა და ვერ აღზარდა ერთი ხარაზი! ეს კი მეზობელი სოფლიდან თავისი ხელით შეკოწიწებული რაღაც საფრთხობელა მსუბუქი ავტომანქანით დაჩახჩახებდა და, ცოტა არ იყოს, მედიდურად იქცეოდა!

ხარაზმა ორივე ჩუსტს საძირე რომ დაუტკეპნა, მაშინღა აიხედა.

— აბა, რა არი, პატრა ბიჭო?

ბიჭმა გაზეთი გაშალა და ფეხსაცმელი ადგილიდან წამოუდგომლად მიაწოდა.

ხარაზმა ფეხსაცმელში ხელი შეყო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და სინჯვა დაუწყო შიგნიდან, გარედან. მერე დაშაშრული თითებით განარღვევი უფრო გაუგანივრა.

ბიჭმა ხმაათრთოლებით იკითხა.

— რა ეღირება ამის დაკერება?

— ესა?!. ამას სამ მანეთად დაგიკერებ!

ყმაწვილს გულზე მოეფონა — შინიდან ხუთი მანეთი ჰქონდა გამოტანებული!

მოულოდნელად ერთი მკვახედ იჭექ-იქუხა და ისეთი კოკური წვიმა წამოვიდა, სახარაზოს პაწია სარკმლიდან აღარაფერი დაინახებოდა.

ხარაზს ელვა-გრგვინვისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ შიშველი ელნათურა ჩაირთო. კალთაში დებულ ფეხსაცმელს პირლაპლაპა ჯევიჩით* ჯერ საპირეს კიდე შემოუსწორა, მერე ბუნაკი** გასანთლულ მსხვილ ძაფში ჩააგრიხა და წვერმოკლე სადგისით დაკერებას შეუდგა.

ბიჭი სულგანაბული უცქეროდა, თავისი გაფატრული ფეხსაცმელი ხარაზის დაკრუნჩხულ თითებში თანდათან როგორ ახლდებოდა!

ხელოსანი საქმეს მორჩა და ფეხსაცმელი პატრონს გადააწოდა. ბიჭმა ფეხსაცმელი ისევ გაზეთში გადაიხვია, ფული გადაიხადა და კარის სახელურს წაეპოტინა.

— ამ თავსხმაში სად მიდიხარ?! — გაიკვირვა ხარაზმა, — თვალის დახამხამებაში გაგლუმპავს!

ბიჭი ისევ დაეშვა. ხარაზმა ახლა მამაკაცის ვეებერთელა, გარეთ გადაცრეხილი ფეხსაცმელი გადმოიღო და იმას დაუწყო კირკიტი.

წვიმამ შესამჩნევად იკლო. მოულოდნელად სარკმელში ჭვარჭვალიტა კაბამ იელვა და სახარაზოს კარი ტოღერაანთ რძალმა შემოაჭრიალა. შეკრულა იღლიაში ამოიდო, გაძალიანებული ქოლგა ძლივს დაკეცა და კუთხეში მიდო. ისედაც დახუთული ჰაერი მჭახე სუნამოთი და ოდნავ შესველებული ტანსაცმლის სუნით უფრო დამძიმდა.

ხარაზი უცნაურად გადასხვაფერდა.

— აბა, რამ შეგაწუხა?

— ოჰ! — პომადით სქლად შეღებილი ტუჩები ქალმა გამომწვევად აიბურცა და შეკრულადან გამოხსნილი სანდლები ხარაზს წინ დაულაგა, — თასმები ეჭიმება და ბალთები მტკენს!

— რატო უნდა გეჭიმებოდეს?! - თავდაჯერებით იკითხა ხარაზმა, — პატრა ბიჭო, შენ იმ სკამზე გადაჯექი!

ბიჭი უსიტყვოდ დამორჩილდა. ხარაზი თავის სკამიანად ცოტათი გვერდზე გამოცურდა და ქალი წინ დაისვა.

— აბა, ერთი ჩაიცვი, ვნახოთ!

წვივტიტველა ქალმა სველი ფეხსაცმელები ერთმანეთის მიყოლებით უხელოდ წაიძრო, გრძელთასმიანი მოდური სანდლები მოირგო და ბალთებიც შეიკრა.

ხარაზი ქალს დაკვირვებით უსინჯავდა ჯიშიან წვივებზე მორგებულ სანდლებს, თუმც თვალი იქითკენ უფრო გაურბოდა, საიდანაც ქალებს თვით ეს ფეხები ეზრდებათ!

ამრეზილი ქალი ისედაც მოკლე კაბას წამდაუწუმ ისწორებდა და ქვევით ისე ეწეოდა, თითქოს რეზინისა ყოფილიყოს!

სუნთქვაარეული ბიჭი გრძნობდა, თანდათან მანამდე განუცდელ ალმურში ეხვეოდა!

— ააა, გასაგებია!.. აქ სადმე ცოტაი უნდა დავაბოლოთ, რომა... — ენის ბორძიკით ბუტბუტებდა ხარაზი და ვითომ თასმების მოშვების ადგილის დასადგენად ქალს ფერხორციან წვივს ხარბად უსრესდა! ხოლო როცა შეუპოვარი თითები მუხლთან შემოაჭდო, ქალმა თავშეკავებით ამოიძახა.

— ბავშვი!

ამ ერთადერთი საბედისწერო სიტყვის ალალბედურად წამოძახებამ ბიჭს სამუდამოდ შეუტრუსა ტვინი! ჯერ ერთი, ის თავს ბავშვად აღარ თვლიდა და რაღაცის მისახვედრს ამაფორიაქებელი ბუნდოვნებით უკვე ხვდებოდა! მაგრამ ეს კიდევ არაფერი! დავუშვათ და იქ ,,ბავშვი“ არა მჯდარიყო, მაშინ?!. ოოო!..

ბიჭი წამოხტა და სახარაზოდან ნამწყვდევ სამოზვრე ხმოსავით გასხლტა!.. წვიმა შენელებულიყო!.. შინ აღგზნებული მივარდა: კვირას ბაზარზე წადით და სახარაზო იარაღები მიყიდეთ — მეც ხარაზი უნდა გამოვიდეო!!!

— ეეიმე, ბიჭს რა მოუვიდა?! — ერთმანეთს გაკვირვებით ეკითხებოდნენ შეშინებული შინაურები.

ის კი შემდეგ დღეებში სულ იმუქრებოდა — მიყიდეთ სახარაზო იარაღები, თორემ თავს მოვიკლავო!..

ჯერ უბანში, მერე კი მთელ სოფელში გავარდა ხმა: მეგუთნიაანთ ბიჭი გაუგიჟდათ - გინდა თუ არა, ხარაზი უნდა გამოვიდეო! ეს ახალი ამბავი პირში გაიჩარეს და ამის მეტი სალაპარაკო სხვა აღარაფერი ჰქონდათ!..

ზოგიერთი უფროსი კუდიანურად აგულიანებდა: ძალიან კარგად მოგიფიქრებია - რაღა სხვა სოფლელი გვბატონობდეს, აბირ ჩვენ ჩვენი ხარაზი გვყავდესო!

მისი უყურადღებობით გულნატკენი თანატოლი მატრაკვეცა გოგონები კი შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, როგორმე რომ გაეკენწლათ.

— ხარაზი, ხარაზი — ცოლი უნდა ლამაზი!.. სადგისი და მახათი — ხარაზების ნახატი!.. ჰი-ჰი-ჰი!.. ჰა-ჰა.ჰაა!..

ბიჭს ეს არ ამცირებდა, პირიქით, უფრო ესახელებოდა და თითქმის საშუალო სკოლის დამთავრებამდე მტკიცედ სწამდა: სოფლის რომელიმე კუნჭულში ექნებოდა თავისი სუფთა, რაზა-ჯოჭაკიანი სახარაზო და!..

* * *

მას აქეთ ბევრმა კოკაპირმა წყალმა ჩაიარა!..

ბიჭი ხარაზი კი არა, მწერალი გახდა, მაგრამ მაშინდელი ყმაწვილური განცდა და ოცნება დღესაც არ შორდება — სადმე მობღუნძული სახარაზოს დანახვისას თუ „ხარაზის“ გაგონებაზე გული ძველებურად ისევ ჩიტივით შეუფრთხიალებს ხოლმე და გრძნობს, ბედისწერამ სიკვდილამდე ამოუხსნელი საიდუმლოს მძევლობა არგუნა: რანაირად გახდა მწერალი და რატომ ვერ გახდა ხარაზი?!

** ჯევიჩი — ხარაზის იარაღი, — ტყავის საჭრელი დანა.*

*** ბუნაკი - ხარაზის ნემსზე აგებული წმინდა ძაფი მსხვილ ძაფში ჩასაგრეხად.*

ბაკურიანი ქართულ კინოფორუმს მასპინძლობს

ფორუმის სახელწოდებაა „ნახე პირველად ბაკურიანში“ და იგი საზოგადოებას იმ ახალ ქართულ ფილმებს სთავაზობს, რომლებიც ფართო აუდიტორიას ჯერ არ უნახავს. ღონისძიების სტუმრებმა იხილეს მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამა, სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“ და დეა კულუმბეგაშვილის მხატვრული ფილმი „დასაწყისი“. ფილმები რეჟისორებმა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა თავად წარადგინეს, რის შემდეგაც მათ კითხვები დაუსვეს კინოთეატრში მყოფმა კინომცოდნეებმა და ფორუმის სხვა სტუმრებმა.

პირველი ფილმი, რომელიც პროგრამის ფარგლებში აჩვენეს, ზაზა ურუშაძის ბოლო ნამუშევარი — „ანტონი“ იყო, რომელიც ფილმის პროდიუსერმა პაპუნა დავითაიამ წარადგინა. ქართული კინოს ფორუმი ბაკურიანში 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

◎ რაგბი ევროპა

აფრიკამდე - თელავში...

მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან ისტორიულ ტესტებზე გამგზავრებამდე საქართველოს ეროვნულმა გუნდმა კიდევ ერთხელ, უკვე ოფიციალურად, ჩაიბარა რაგბი ევროპის თასი, რომელიც აქამდე ვადამდე ჰქონდა მოპოვებული ქულათა მაქსიმუმით.

მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთო – განაცხადა ნიდერლანდებთან თელავში გამართული ბოლო აკორდის შემდეგ – 48:15 – „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა **ლევან მაისაშვილმა,** თუმცა ეს უპირატესად უთანასწორო ბრძოლის პირველ ტაიმს ეხება. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ კლასმა და უკეთესმა კონდიციებმა მაინც თავისი სიტყვა თქვა და მასპინძლებმა ერთბაშად 8(!) ლელოთი დააგვირგვინეს ტურნირი, აქედან სამი მატჩი გმირმა ნინიაშვილმა, ხოლო სადებიუტო სანაკრებო კარიერაში – ჯავახიამ.

რაც შეეხება შეხვედრის საკვანძო მომენტს, ასეთად პირველი ნახევრის მიწურულს რიცხობრივი უმცირესობისას ლობჟანიძის ლელო უნდა მივიჩნიოთ.

◎ მსოფლიო ლიგა

ძვირფასი გამარჯვება

„მფრინავ ჰოლანდიელთა“ მიერ შექმნილი ტოტალური ფეხბურთი ვინ არ იცის, მაგრამ თურმე ტოტალური წყალბურთიც არსებობს.

საუბარია თბილისის ოლიმპიურ აუზში მიმდინარე მსოფლიო ლიგის სტარტზე იაპონელთა წარმოდგენილ ტაქტიკაზე მასპინძელთა წინააღმდეგ, რაც ითვალისწინებს შემდეგ სათამაშო სისტემას: ყველა წინ, ყველა უკან, თანაც – რეაქტიულ სისწრაფეზე აგებულ კომბინაციებს უმკაცრესი პრესინგის თანხლებით.

საბედნიეროდ, **დეიან სტანოიევიჩის** გუნდმა თანდათან ალღო აუღო მეტოქის სიურპრიზს, ბოლომდე უერთგულა საკუთარ მონახაზს – ზონურ დაცვასა და ცენტრალურ თავდამსხმელებზე აწყობილ იერიშებს და მძიმე გამარჯვებაც მოიპოვა – 13:12. ლოგიკურია, რომ 5-5 გოლი სტუმრებს სწორედ „სტოლბებმა“ – შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ბითაძემ და ბარალდიმ გაუტანეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის 8 მონაწილიდან 6 ნაკრები ოლიმპიურ ტოკიოში იასპარეზებს. იმავე დღეს ჩვენ ჯგუფში მონტენეგრომ აშშ-ს სძლია – 10:6.

გუშინ: საქართველო-მონტენეგრო 8:19

◎ ლეგიონერი

მესამე და სამართალი

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გოგა ბითაძე ნბა-ში მესამე სეზონს მესამე ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ კარიერაში საეტაპო აღმართს იგი ნეით მაკმილანის თავკაცობით შეუყვა, ხოლო ამ-ერიდან 61 წლის **რიკ კარლაილის** შეგირდი იქნება, რომელიც „ინდიანას“ 2003-2007 წლებში უკვე ავარჯიშებდა.



სხვათა შორის, სწორედ აღნიშნული სპეციალისტისა და ლეგენდარული გერმანელი უნივერსალის დირკ ნოვიცკის 13-წლიან თანამშრომლობას უკავშირდება „დალასის“ მიღწევა, როცა ტეხასურმა კლუბმა ჩემპიონის ოქროს ბეჭედი მოიპოვა, ბოლოს კიგამოცდილი დამრიგებლის რჩევებს ამომავალი სლოვენიელი ვარსკვლავი ლუკა დონჩიჩი ითვალისწინებდა.

◎ პრემიერა

„ოლიმპიური ჩემპიონი“

ერთ თვეზე ნაკლები დარჩა ტოკიოს ოლიმპიადის სტარტამდე, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე პრესტიჟულ კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებას უკვე მეორედ უმასპინძლებს.

აქამდე მსგავსი პატივი კიდევ ორ აზიურ მეგაპოლისს ხვდა წილად – პეკინსა და სეულს. სწორედ სამხრეთ კორეის დედაქალაქში გამართულ თამაშებს უკავშირდება ჩვენი წერილის გმირის ტრიუმფი.

წესით, მძიმე ტრავმით მწყობრიდან გამოსულ **გელა კეტაშვილს** პარტნიორთა შეხვედრებისთვის თვალი ტელევიზიით უნდა ედევნებინა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანატოლი ბიშოვეცის დაჟინებული მოთხოვნით გუნდის დაცვის ბურჯი, რომ იტყვიან, ყავარჯნების თანხლებითა და გამაყუჩებლებით დელეგაციაში აღმოჩნდა და სამშობლოში ოქროს მედლით დაბრუნდა.

ჩვენ ფეხბურთში ხუთი ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი გვყავს – მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რევაზ ჩელებაძე, მაგრამ ამ თანავარსკვლავედს უმაღლესი ტიტულით პირველი და, ვშიშობ, კარგახნით, ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი ჩრდილავს.

დიახ, პირველი მწვრთნელის – **სერგო აპრესიანის** საამაყო „ნახალოვკელი“ შეგირდი თანამემამულეთაგან ის იშვიათი გამონაკლისია, ვინც ყოველივე ეროვნულის კინომემატიანის – **გოგი თორაძის** ყურადღება დაიმსახურა და მოსკოვის საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის (ვგიკ) კურსდამთავრებული რეჟისორის მორიგი ფილმის პერსონაჟად მოგვევლინა, რომელსაც „ოლიმპიური ჩემპიონი“ უწოდა.

სიმბოლურია, რომ საყვარელი თანაკლუბელისადმი მიძღვნილი ნაწარმოების პრემიერას კინოს სახლში მისი თმაშეერცხლილი თანამებრძოლები – ქართული ფეხბურთის ლეგენდები ამშვენებდნენ, რომლებმაც ეროვნული ნაკრების პირველ კაპიტანს, ისევე, როგორც სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თავკაცმა **მიხეილ აბაიშვილმა** ამაღელვებელი სიტყვებით მიმართეს.

ბუნებრივია, მადლიერების სტრიქონები გაისმა მთლიანად შემოქმედებითი ჯგუფის, განსაკუთრებით – თენგიზ თხილავას მიმართაც, რომელიც ავტორის ტექსტს ჩვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტონაციითა და ხმის ტემბრით ახმოვანებს.

რაც შეეხება ხელოვანის უახლოეს გეგმებს, მილანის შარშანდელი კინოფესტივალის ლაურეატი (ფილმი „ძმები არველაძეები“) მალე დაასრულებს მუშაობას საეტაპო თემაზე – წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს დიდგორში ძლევაი საკვირველის 900 წლისთავზე მოხდება.

◎ ევრო – 2020

პლეი-ოფის ოფოფები

დანიელებს კარგად აქვთ დაცდილი ფორსმაჟორული ვითარება.

მოგეხსენებათ, 1992 წელს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული ვიკინგებმა ნატოს დაბომბვის შემდეგ ბალკანეთში ატეხილი ომის გამო ევროზე იუგოსლავთა ნაცვლად დაშვების შედეგად მოიპოვეს, ხოლო წლეულს უკვე გუნდის ლიდერ ერიქსენის გულის შეტევამ შეუქმნათ საკადრო პრობლემები.

დაუმატეთ ამას პოულსენის ტრავმა, მაგრამ სწორედ მისი შემცვლელი – დოლბერგი მოევლინათ დუბლით მხსნელად თეთრ-წითლებს ამსტერდამში გადაბარგებისას წლევანდელი ფორუმის მერვედფინალში უელსელებთან – 4:0.

სხვათა შორის, „კრუიფ არენა“, სადაც უამრავ სკანდინავიელს უთამაშია „აიაქსის“ მაისურით, მათ შორის ზემოთნახსენებ ფორვარდს, იქ შექმნილი აურით ჰუფლანდის შეგირდთათვის საშინაო სარბიელს მოგაგონებდათ, კელტები კი, რომლებიც წინა მსგავსი ფორუმის ნახევარფინალისტები არიან, ისე დაემშვიდობნენ ტურნირს, რომ ოთხ შეხვედრაში ერთხელაც არ მოხვედრილან ოფსაიდში და 2 წითელი ბარათი დაიმსახურეს.

რაც შეეხება იმ დღის მეორე წყვილს, სიმბოლურია, რომ იტალია – ავსტრიის მე-19 საუკუნისდროინდელი ომის წინ დაწერილი ჰიმნი „სკუადრა აძურას“ იმავე მეტოქესთან დამატებით დროში მოპოვებული მძიმე გამარჯვებისკენ გაუძღვა – 2:1. არადა, მოგეხსენებათ ჯანლუიჯი დონარუმას ზედიზედ 12 მატჩში ბურთი არ ჰქონდა გაშვებული.

◎ საშინაო ფრონტი

არანაკლებ საინტერესოდ

ევროპის ჩემპიონატის ცხარე ბატალიებმა დაუმსახურებლად მიგვავიწყა კრისტალბეთ ეროვნული ლიგა, სადაც მოვლენები არანაკლებ საინტერესოდ ვითარდება.

მას შემდეგ, რაც მეცხრამეტე ტურში ერთ-ერთმა ლიდერმა – „ბათუმმა“ გუნდის სათავეში დაბრუნებული კახა ჩხეტიანის გაწვრთნილ „ქუთაისთან“ სტუმრად ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა – 2:2, თბილისის „დინამოს“ სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურების რეალური შანსი გაუჩნდა, მაგრამ კახა ცხადაძის შეგირდებმა ამჯერადაც, მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში – უკვე მესამედ გააწბილეს გულშემატკივრები წყალტუბოს „სამგურალთან“, თანაც – საკუთარ მინდორზე – 1:2.

ლიდერთა ჯგუფი: „ბათუმი“ – 39, „დინამო“ – 38, „ლოკომოტივი“ – 33ქულა.

ბომბარდირი: ფანცულაია („ბათუმი“) – 9 გოლი.

აქვე მოახლოებული ევროტურნირების ფინალურ სარგებელსაც გაეცანით.

ჩემპიონთა ლიგა

მონაწილეობა – 260 000 ევრო.

საკვალიფიკაციო და შესარჩევი რაუნდები – 280 000, 380 000 და 480 000 ევრო.

ევროპალიგა

საკვალიფიკაციო ეტაპები და პლეი-ოფი – 240 000, 260 000, 280 000 და 300 000 ევრო.

კონფერენსლიგა

მონაწილეობა – 100 000 ევრო

საკვალიფიკაციო ეტაპები და პლეი-ოფები – 150 000, 350 000, 550 000 და 750 000 ევრო.

გათვალისწინებულია აგრეთვე სხვადასხვა სახის დამატებითი წამახალისებელი თანხები.

დიდად განათლებული და გულისხმიერი



რევაზ ბასარიას ნათელი ხსოვნა

ღრმა მწუხარებით და დიდი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ 89 წლისა გარდაიცვალა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, პროფესორი

რევაზ ვლადიმერის ძე ბასარია.

იგი იყო უაღრესად განათლებული, ობიექტური, პრინციპული, საარაკო შრომისმოყვარეობითა და გულისხმიერებით გამორჩეული პიროვნება. თხუთმეტი წლის მანძილზე (1976-1991 წ.წ.) ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურს, 1991-2005 წლებში მუშაობდა ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და დირექტორად; 2005-2019 წლებში — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

რევაზ ბასარია მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს მთავრობის წევრი, 2-ჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო „ხალხთა შორის მეგობრობის“ და საპატიო ნიშნის ორდენებით. გამოქვეყნებული ჰქონდა 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, სამი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. გამოჩენილი მეცნიერის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, მეგობრისა და სამაგალითო პიროვნების რევაზ ბასარიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

გამოსვენება 29 ივნისს, თბილისი, გ. ქუჩიშვილის 29. 15 სთ.

ნოდარ ჟითანავა, თეიმურაზ ბერიძე, იოსებ არჩვაძე, დავით კბილაძე, ოლეგ ნიკოლეიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, 1992-1995 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, ისტორიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, მწერალი, არაერთი წიგნის, ფილოსოფიური ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

აკაკი გასვიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სწავლული-ენათმეცნიერი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკი, აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გუჩა კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ჟორდანია, თემურ ჩილაჩავა, პაატა კოლუაშვილი, თემურ შენგელია, ტიტე მოსია, ვაჟა შენგელია, მერი გაბედავა

ზურაბ (პიკო) ნიჟარაძე გარდაიცვალა



სხვადასხვა წელს მხატვრის პერსონალური გამოფენები ეწყობოდა როგორც საქართველოში, ისე გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთის, საგამოფენო სივრცეებში.

ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, ასევე ლუდვიგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, რიო-დე-ჟანეიროს ნაციონალურ გალერეაში, აშშ-ის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვედეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

განსხვავებული მხატვრული ხედვის ხელოვანი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი მხატვრის, ზურაბ ნიჟარაძის გარდაცვალების გამო.

„ზურაბ ნიჟარაძე მეოცე საუკუნის 50-იანელ მხატვართა გამორჩეული თაობის წარმომადგენელია. ახალგაზრდობაშივე გამოვლენილი განსხვავებული მხატვრული ხედვისა და შემოქმედებითი თავისუფლების გამო მეგობრებმა ასოციაციურად პაბლო პიკასოსთან დააკავშირეს და მას მეტსახელად „პიკო“ შეარქვეს. საქართველოს სახალხო მხატვარი რუსთაველის პრემიის ლაურეატი იყო.

ზურაბ ნიჟარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული კულტურისათვის. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ზურაბ ნიჟარაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად ქართულ საზოგადოებას“.

ჯანდაცვის სისტემა მზად არის, მაგრამ...

მედ-პერსონალი გადაღლილია და ეს უნდა გავითვალწისწინოთ!

ზაფხულის დადგომასთან ერთად, კოვიდ რეგულაციებიც შემსუბუქდა. **რეგულაციების მოხსნა გამოიწვევს თუ არა მეოთხე ტალღას ინდური შტამის ფონზე, ამ კითხვას ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა უპასუხებს.**

— რა გველის ღმერთმა იცის, მაგრამ ახლო პერსპექტივას რაც შეეხება, ამ წუთში ქვეყანაში ინდური შტამი არ ცირკულირებს, ამიტომ მისი გავრცელების რისკები დაახლოებით, 2-3 კვირა არ იქნება.

თუმცა, თუ რეგიონის ქვეყნებს გადავხედავთ, სადაც „დელტას“ შტამი მაღალი ინტენსიურობით გავრცელდა, თეორიულად შესაძლებელია, რომ ზაფხულის მეორე ნახევარში საქართველოშიც მოხდეს მისი გავრცელება. ამიტომ მნიშვნელოვანია იყოს ის რეკომენდაციები დაცული, რომელიც დიდი ხანია დაწესებულია — დისტანცია, ჰიგიენური ნორმების დაცვა და პირბადის გამოყენება დახურულ სივრცეში. მართალია, ღია სივრცეში პირბადის ტარების რეგულაცია მოიხსნა, მაგრამ რეკომენდაცია რჩება. მოსახლეობას მოვუწოდებ, სადაც დისტანციის დაცვა ვერ ხერხდება და ხალხმრავალი ადგილია, ამ შემთხვევაში პირბადე გამოიყენონ.

თუ ჩვენ ამ რეკომენდაციებს დავიცავთ, პლუს ამას, ვაქცინაცია აქტიურად წავა და ასევე გაკონტროლდება იმ ქვეყნებთან მიმოსვლა, სადაც „დელტას“ შტამის გავრცელება მაღალია, შესაძლებელია, რომ სტაბილურობის მაჩვენებელი შევინარჩუნოთ, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი ვერ მოხერხდა, რისკები არსებობს.

— ტურისტული სეზონი დადგა და ამ დროს რეგულაციების გაკონტროლება რამდენად არის შესაძლებელი?

— ეს ორ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველი — საზოგადოების დამოკიდებულება, რადგან ვერანაირი რეგულაცია ვერ იმუშავებს, თუ მოსახლეობის მხრიდან მზაობა არ იქნა. ასევე დამოკიდებულია სახელმწიფოზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იმ ქვეყნებთან მიმოსვლის კონტროლი, სადაც ინდური შტამის მაღალი მაჩვენებელია.

— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ საჰაერო მიმოსვლა ისევ უნდა ჩაიკეტოს?

— მთლად ასე რადიკალურად არ ვიტყოდი, თუმცა ეპიდსამსახურები აფასებენ თუ რომელი ქვეყანა შედის რისკ ჯგუფებში და ის ქვეყნები, რომლებიც რისკ ჯგუფებს წარმოადგენენ, მათთან მიმოსვლა უნდა გადაიხედოს და გარკვეული შეზღუდვები დაწესდეს.

— ასევე ახსენეთ ვაქცინაცია, თუმცა რამდენიმე დღეა ვაქცინაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა, კერძოდ „ასტრაზენეკასთან“ დაკავშირებით. შესაძლებელია მოქალაქე ორი სხვადასხვა ვაქცინით აიცრას?

— ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს — ზოგადად, ორი ვაქცინის გაკეთების პრეცედენტი მსოფლიოში იყო. პირველი დოზით „ასტრაზენეკათი“ მოხდა ვაქცინაცია, გარკვეული შეფერხებების გამო, მეორე ვაქცინა „ფაიზერი“ გაკეთდა. ამ ფაქტზე ესპანეთში კვლევაც კი ჩატარდა და შერეულმა ვაქცინაციამ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა.

— იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მეოთხე ტალღის წინაშე დადგა, სამედიცინო სფერო რამდენად არის ამისთვის მზად?

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ჯანდაცვის სისტემა მზად არის, მაგრამ მედ-პერსონალი გადაღლილია და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს!

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

პეტრეპავლობის მარხვის დასაწყისი

28 ივნისიდან 12 ივლისამდე საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პეტრეპავლობის მარხვას აღნიშნავს, ამ ორი კვირის განმავლობაში წმიდა მოციქულთა მარხვა ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა თევზით ხსნილია.

პეტრეპავლეს სახელზე მრავალი ტაძარია აგებული თბილისში, ქუთაისში, საგარეჯოში და სხვაგან... თბილისის პეტრეპავლეს სახელობის სასაფლაოს ეკლესია აშენებულია 1848 წელს კეთილმოწესე დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის დახმარებით და ელისაბედ გოგიჩიან-მაჭავარიანის მიერ მოგროვილი თანხით... პეტრეპავლობის მარხვას „ზაფხულის“ მარხვას ეძახიან.

გიული ლიპარტია



სასიამოვნო სიურპრიზი

ვატიკანის საცავები ქართველი მკვლევარებისთვის ღია...

ვატიკანში საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ვატიკანის კათოლიკური განათლების კონგრეგაციას შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა და კათოლიკური განათლების კონგრეგაციის პრეზიდენტმა ჯუზეპე ვერსალდმა.

ნუნუ მიცკევიჩის განცხადებით, მემორანდუმით მეცნიერებს, მკვლევრებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ ვატიკანის ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმების საცავებში. ნუნუ მიცკევიჩის განცხადებით, მემორანდუმის საშუალებით შესაძლებელი იქნება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ვატიკანის არქივების თანამშრომლობა, რის შედეგადაც, ქართველი მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ვატიკანში დაცული მდიდარი საარქივო მასალა.

საქართველოს რადიოს გადაცემა „პიკის საათში“ ნუნუ მიცკევიჩმა განაცხადა, რომ ზოგადად, ხელნაწერები არის ძიების პროცესში და მათი ადგილსამყოფელის დასადგენად მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული მემორანდუმი.

„ვატიკანში რამდენიმე ხელნაწერი დაგვახვედრეს თვალსაჩინოებისთვის, რომ მათთან არის დაცული ქართული ხელნაწერები. ერთ-ერთი აღმოჩნდა სულხან-საბა ორბელიანის წერილი, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი, რომელიც დღემდე არ იყო ცნობილი ჩვენი მკვლევრებისთვის. მეორე იყო პერგამენტზე დაწერილი გიორგი მეფის წერილი. ასე რომ, ვატიკანის არქივები ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან ფურცლებს ინახავს, ხელნაწერებისა და დოკუმენტების სახით. მკვლევრების ნაწილი ფიქრობს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძის პირად არქივში, რომელიც ვატიკანშია დაცული, შესაძლოა, იყოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათიც“, — განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ნუნუ მიცკევიჩის ინტერვიუ „პიკის საათში“ იხილეთ ბმულზე.

კულტურის სფეროს მილიონი ლარით დაეხმარებიან

2020 წელს, პანდემიის პირობებში, კულტურის სფეროს მხარდასაჭერად თბილისის მერიამ დამატებით 1 მლნ ლარი გამოყო, — ამის შესახებ დედაქალის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ანგარიშის წარდგინებაზე განაცხადა.

„პანდემია იყო ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან რთული ჩვენი ქვეყნისთვის, ხოლო კულტურა იყო ის სფერო, რომელმაც დიდი დარტყმა მიიღო. ჩვენ მაშინ ძალიან ბევრი შეხვედრა ჩავატარეთ და მივხვდით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩვენი ხელშეწყობა არ შეჩერებულიყო. მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — იმის ფონზე, როცა პრაქტიკულად ყველა პროგრამის შემცირება მოგვიხდა, კულტურის დაფინანსების პროგრამას დავუმატეთ 1 მლნ ლარი. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვაფინანსებდით სხვადასხვა ღონისძიებას. ასევე, გავამარტივეთ წესი, რათა შეგვძლებოდა პანდემიის პირობებში ღონისძიებების ჩატარება — ეს იყო პირდაპირი ჩართვები, ვირტუალური ღონისძიებები. მთავარი იყო ის, რომ კრეატიული პროცესი და ღონისძიებები არ შეჩერდა და ათასობით არტისტმა შეძლო, გაეკეთებინა პროექტები და მიეღო გარკვეული დაფინანსება“, — განაცხადა ბასილაიამ.

მისივე თქმით, პანდემიის პერიოდში, როდესაც საზოგადოებას სახლში, იზოლაციაში ყოფნა უწევდა, დისტანციურ ფორმატში განხორციელდა სხვადასხვა სახის ვიდეოსწავლება და სპორტული აქტივობები. გარდა ამისა, როგორც ბასილაიამ აღნიშნა, საკლუბო ცხოვრება, რომელსაც საქართველოს ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, პანდემიის პერიოდში დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. შესაბამისად, მერის მოადგილის განცხადებით, დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„იმის მიუხედავად, რომ პანდემიის გამო დახურული იყო კლუბების შიდა სივრცეები, მივაღწიეთ შეთანხმებას შრომის ინსპექციის სამსახურთან, რის შედეგადაც ბევრმა შეძლო და ზაფხულის განმავლობაში ღია სივრცეში ჩაატარა ღონისძიებები“, — განაცხადა ანდრია ბასილაიამ. წარდგენაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ბარებისა და რესტორნების ხელშეწყობისთვის.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„მიტოვებული სოფელი“ პრიზიორია

მარიამ კაპანაძის სადებიუტო ანიმაციურ ნამუშევარი, ანიმაციური ფილმი, „მიტოვებული სოფელი“ პრაღაში დაჯილდოვდა.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ნამუშევარმა ჯილდო აბსტრაქტული და არანარატიული ანიმაციების კატეგორიაში მიიღო. „მიტოვებული სოფელი“ შექმნილია კინოსტუდია „კვალი XXI“-ისა და „ქართული ფილმი-აფხაზეთის“ ბაზაზე, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმის პროდიუსერი მარიამ კანდელაკია.

„სტამბოლის არხი“ ქალაქს შუაზე გაყოფს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიფ ერდოღანმა მონაწილეობა მიიღო სტამბოლის არხის მშენებლობის დაწყების ცერემონიალში. თურქეთი მიზნად ისახავს სტამბოლის არხის, რომელიც შავ და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთან დააკავშირებს, მშენებლობის 6 წელიწადში დასრულებას.

ერდოღანის განცხადებით, პროექტის ღირებულება დაახლოებით 15 მლრდ დოლარია. არხის სიგრძე იქნება 45 კმ, მინიმალური სიგანე 245 მ, ხოლო სიღრმე დაახლოებით 21 მ.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ ახალი არხი სტამბოლის მეტ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რადგან უფრო და უფრო მეტი ხომალდი გადის ბოსფორის სრუტეზე ყოველწლიურად, რაც „პოტენციურ რისკებს შეიცავს“.

ბოსფორის ალტერნატიული ხელოვნური სრუტის შექმნის იდეა ერდოღანმა თავდაპირველად 2011 წელს წამოჭრა, როდესაც ის თურქეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. პროექტის მიხედვით, „სტამბოლის არხი“ ბოსფორის სრუტის მსგავსად ქალაქ სტამბოლს შუაზე გაყოფს და სტამბოლის ნაწილი „სტამბოლის არხსა“ და ბოსფორის სრუტეს შორის კუნძულის სახით დარჩება.

თავად ქალაქი სტამბოლი სამ რეგიონად დაიყოფა — ერთი აზიური და დანარჩენი ევროპის ნაწილი. ცენტრალური ნაწილი, რომელშიც მდებარეობს ქალაქის ისტორიული რაიონი „სულთანაჰმედი“ და საქმიანი უბნები რეალურად გადაიქცევა კუნძულად.

სამომავლოდ ახალი არხის გამოყენება მოხდება როგორც საკრუიზო ასევე სატვირთო გემების მიერ. ამავე არხით იგეგმება ასევე საშიში ნივთიერებით დატვირთული გემების გატარებაც.

პროექტის ფარგლებში მარმარილოს ზღვაში დაგეგმილია ხელოვნური კუნძულების გაშენებაც. წინასწარი გათვლებით არხი დღეში 160 გემის გატარებას შეძლებს. დღეისათვის ბოსფორის არხით წელწადში 53 ათასი გემის გატარებაა შესაძლებელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1549; ევრო - 3.7601;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3789;
100 რუბლი - 4.3639; თურქული ლირა - 0.3626;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8503;
1000 სომხური დრამი - 6.3300.

ამინდი 28 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+35
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+38

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge